1. Алиев А.И., Багир-заде Ф.М., Буниат-заде З.А., Гусейнов А.Н., Дадашев Ф.Г., Мехтиев Ш.Ф., Салаев С.Г., Юсуф-заде Х.Б. Месторождения нефти и газа и перспективные структуры Азербайджанской ССР. Баку: Элм,1985.-107 с.
2. Арвеладзе Р. О ходе реформ в секторе энергетики Грузии//Энергия, 1997, № 1, с.5-11.
3. Баженов Г.С., Назаров П.П. Графит, графитит или угольная пыль (к минералогии Раховского массива)//Изв. ВУЗов. Геология и разведка, 196, № 6, с.55.
4. Баженов М.Л., Бургман В.С. Структурные дуги Альпийского пояса: Карпаты-Кавказ-Памир. Москва: Наука, 1990.- 166 с.
5. Балавадзе Б.К., Твалтвдзе Г.К. Строение земной коры в Грузии по геофизическим данным//Изв. Академии наук СССР. Сер. геофизическая, № 9. Москва, 1958. с.1075-1084
6. Башелеишвили Л.В., Кумелашвили М.А. Сдвиговые деформации молласовых впадин грузинской части Кавказа//Горный журнал № 1(26),Тбилиси, 2011, с.16-18.
7. Булеишвили Д.А. Геология и нефтегазоносность межгорной впадины Восточной Грузии. Гостоптехиздат, 1960.
8. Бурштар М.С., Машков И.В. Условия формирования и закономерности размещения залежей нефти и газа. Москва: Гостоптехиздат, 1963.- 266 с.
9. Бурштар М.С., Назаров Д.А. (ВНИГНИ). Гидродинамические ловушки как новый резерв для поисков залежей нефти//Сов.геология, № 11, 1970, с.70-83.
10. Варданянц Л.А. Тектоническая карта Кавказа в масштабе 1:1000000. Объяснительная записка//Труды ВСЕГЕИ. Нов.сер., т.10. Москва: Государственное научно-техническое издательство литературы по геологии и охране недр, 1955.- 72 с.
11. Вассоевич Н.Б. Теория осадочно-миграционного происхождения нефти// Известия АН СССР. Сер.геол., 1967, № 11, с.135-156.
12. Вахания Д.Е., Зиракадзе Р.М. О практическом значении метановыделений со дна и зон накоплений газогидратов в осадочном чехле восточной части акватории Чёрного моря//Нефть и газ Грузии, № 2(6). Тбилиси, 2002, с.65-74.

მეცნიერება

გეოლოგია

SCIENCE

13. Вульчин Е.И. К геологической характеристике метаантрацитонесных пород северо-западного окончания Мармарошского массива//Геология и геохимия месторождений горючих ископаемых. Киев: Наукова Думка, 1965, с.42-50.
14. Гамкрелидзе И.П. Тектонические структуры и альпийская геодинамика Кавказа и сопредельных регионов//Тр. ГИН АН ГССР. Нов.сер., вып.86. Тбилиси: Мецниереба, 1981, с.105-127.
15. Гамкрелидзе И.П. Тектоническое строение и альпийская геодинамика Кавказа. В кн.: Тектоника и металлогения Кавказа// Тр. ГМП, нов.сер., вып.86, Тбилиси: Мецниереба, 1984.
16. Гамкрелидзе И.П., Шенгелиа Д.М. Докембрийско-палеозойский региональный метаморфизм, гранитоидный магматизм и геодинамика Кавказа//Научный мир, Москва, 2005.- 456 с.
17. Гегучадзе Ш.Х. Тектоническое строение Верхней Рачи в полосе Главного надвига// Известия геологического общества Грузии, т.6, вып.1,2. «Мецниереба», 1970, с.9-19.
18. Гудушаури С. О возможной нефтегазоносности акватории Чёрного моря//Нефть и газ Грузии № 2(5). Тбилиси, 2002, с.61-67.
19. Доленко Г.Н. Происхождение нефти и газа и нефтегазонакопление в земной коре. АН Украинской ССР, Киев: Наукова Думка, 1986.- 135 с.
20. Иоселиани М.С. Строение осадочного комплекса и кристаллического фундамента территории Грузии по геофизическим данным. Тбилиси: Мецниереба, 1969.
21. Кудрявцев Н.А. О нефтеносности мезозоя Грузии//Труды НГРИ, Нов.сер., вып.14, 1941.
22. Леворсен А.И. Геология нефти и газа. Москва: Мир, 1970.- 639 с.
23. Магалашвили Г.А. Ещё об одной возможной модели нефтеобразования//Нефть и газ Грузии, № 27, 2011.
24. Марусидзе Г.Я. Строение земной коры и верхней мантии в Грузии в сопредельных районах по сейсмическим данным. Тбилиси: Мецниереба, 1976.
25. Махарадзе Г. Будущее грузинской нефти//Нефть и газ Грузии, 2000, № 1, с.25-27.
26. Мехтиев Ш.Ф. Проблемы генезиса нефти и формирование нефтегазовых залежей. Баку: АН АзССР, 1969.- 322 с.
27. Нанадзе А.О. Рациональный комплекс геологоразведочных и поисковых работ на нефть и газ в Грузии. Научно-технический прогресс, Тбилиси, 1989, с.3-8.
28. Нанадзе А.О., Папава Д.Ю., Мгеладзе З.В. Месторождения нефти и газа , перспективные структуры и нефтегеологическое районирование Грузии. Тбилиси: ПО «Груз-геология», 1969.- 67с.
29. Неручев С.Г. Нефтепроизводящие свиты и миграция нефти. Ленинград: Гостоптехиздат, 1962.
30. Николаишвили М.М. Результаты определения глубины залегания поверхности кристаллического фундамента в юго-восточной части Грузии по комплексному использованию сейсмо-гравиметрических данных//Сообщения АН ГССР, 121, 1986, с.521-523.
31. Рассел У.Л. Основы нефтяной геологии (перевод с англ.). Ленинград: Государственное научно-техническое издательство нефть. и горно-топливной литературы, 1958.- 619 с.
32. Симаков С.Н. Пространственное размещение и условия залегания нефти и газа на глубинах больше 4500 м.- В кн.: Результаты и предпосылки поисков нефти и газа на больших глубинах. Ленинград: ВНИГРИ, 1979, с.78-136.
33. Соколов В.А. Миграция газа и нефти. Издательство АН СССР, 1956.

---

---

**მეცნიერება**

-

**გეოლოგია**

-

**SCIENCE**

34. Тевзадзе Р.И. О перспективах нефтегазовой промышленности Грузии// Энергия, 1997, № 3, с.26-31.
35. Топчишвили М.В., Ломинадзе Т.А., Церетели И.Д., Тодрия В.А., Надареишвили Г.Ш. Стратиграфия юрских отложений Грузии// Труды Геологического института. Нов.сер., вып.122. Тбилиси, 2006.- 449 с.
36. Хмаладзе Г.Дж. О возможных путях развития нефтяной промышленности Грузии// Georgian Engineering News, № 2, 2001, с.125-127.
37. Чихрадзе Г.А. Литология ниже- и среднеюрских отложений Южного склона Большого Кавказа. Тбилиси: Мецниереба,1979.- 203 с.
38. Hubbert M.K. The Theory of ground water motion and related papers. Hufner Publishing Company, New York, 1969, 310 p.

## ჭაბურღილებში პარაფინთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის ღონისძიებები

**რეზიუმე:** წარმოდგენილია სატუმბ-საკომპრესორო მიწებზე პარაფინის მოხსნის ახალი მეთოდი (ნაცვლად გაფხეკისა). პარაფინიზებულ მიწებზე ამაგრებენ სპეციალურ კაბელს, რომელშიც გადის პულსირებული დენი და 80°C ათბობს. ელექტროციფრული დანადგარის მეშვეობით, რომლის შედეგად დახშობილი არე პარაფინისაგან თავისუფლდება

**საკვანძო სიტყვები:** სატუმბ-საკომპრესორო მიწები - სსმ, პარაფინის გაფხეკა, სსმ-ზე გამაცხელებელი კაბელის ელექტროციფრული მოწყობილობა.

### 1. შესავალი




**ბექა ოდიშარია,**  
კომპანია „ჯინდალ-პეტროლიუმის“ გენერალური დირექტორი

ნავთობმრეწველობაში ნავთობის მოპოვების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ჭაბურღილში ჩაშვებული სატუმბ-საკომპრესორო მიწების (სსმ) კედლებზე (საიდანაც ხდება ფენიდან ნავთობის ამოღება) პარაფინის დალექვაა, რაც დროთა განმავლობაში ამცირებს ნავთობის მოპოვებას და საბოლოოდ მთლიანად ბიდნავს მიღშიგა სივრცეს.



**დავით სანაძე,**  
კომპანია „ჯინდალ-პეტროლიუმის“ მთავარი ენერგეტიკოსი



ნახ. 1. სატუმბ-საკომპრესორო მიწებში პარაფინიზებული მასა

### 2. ძირითადი ნაწილი

ამ პრობლემასთან ბრძოლის რამდენიმე მეთოდი არსებობს:

1. მექანიკური დამუშავება, როდესაც სპეციალური ხელსაწყო (საფხეკის) მიწებში ჩაშვებით ხდება მისი შიგთავსის გაწმენდა;
2. ქიმიური დამუშავება, რომელიც მოიცავს ქიმიური რეაგენტების ჭაბურღილში ჩატუმბვას და პარაფინიზაციის შემცირებას;



**ვაჟა ჩხოზაძე,**

კომპანია „ჯინდალ-პეტროლიუმის“ დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში

3. ფენის და სს მიღების ცხელი ნავთობით დამუშავება, რომლის დროსაც ხდება ჭაბურღილის ამორეცხვა გაცხელებული ნავთობით მიღებულ დალექილი პარაფინის მოსაცილებლად და ცხელი ნავთობის ფენში შეტუმბვა;

4. ცხელი ორთქლის გამოყენება სპეციალური ორთქლის წარმომქმნელი მანქანის მეშვეობით;

5. პარაფინის მოცილება სპეციალური ელექტროგამაცხელებელი კაბელების სს მიღებულ მიმაგრებით და ჭაბურღილში ჩაშვებით, რაც არ აძლევს ფენიდან ზედაპირისკენ მოძრავ სითხეს გაცივების და, შესაბამისად, პარაფინის გამოყოფის საშუალებას.

სწორედ ამ უკანასკნელზე შევანერებთ თქვენ ყურადღებას. „ჯინდალ-პეტროლუმ ოფერეითინგ ქომფანის“ ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, სატუმბ-საკომპრესორო მიღებულ სპეციალური ელექტროკაბელების და ჭისპირზე ციფრული ელექტროდანადგარის დასამონტაჟებლად და აღნიშნული მეთოდი საქართველოში პირველად, ჩვენ მიერ ინოვაციურად დაინერგა ამ კომპანიის სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებული თელეთის №60, 39 და 63 ჭაბურღილებში.

ამ ტექნოლოგიის დანერგვამდე აღნიშნულ ჭაბურღილებში პარაფინთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად გარკვეული პერიოდულობით საჭირო ხდებოდა სხვადასხვა მეთოდის მიმართვა (ორთქლის წარმომქმნელი მანქანის ან საფხეკის გამოყენება, ზოგიერთ შემთხვევაში ჭაბურღილის გაჩერება მიმდინარე შეკეთების ჩასატარებლად, კაშეკეთებით დაზვის მეშვეობით), რაც გარკვეულწილად იწვევდა ჯამური მოპოვების შემცირებას და დაკავშირებული იყო დამატებით ხარჯებთან.

აღნიშნული სისტემის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ციფრული ელექტროდანადგარი გამართულ ელექტროენერგიას აწვდის საკომპრესორო მიღებულ მიმაგრებულ კაბელს, რომელიც ცხელდება 88°C, რაც იმავდროულად იწვევს ნავთობის გაცხელებას ჭაბურღილში და ჭისპირზე ამოსული ნავთობი აღწევს 45°C ტემპერატურას. ეს ტემპერატურა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ აღარ მოხდეს ჭაბურღილში (სს მიღებში) პარაფინის გამოყოფა და კედლებზე გამოლექვა. გარემოწყობილობა უზრუნველყოფს ელექტროკაბელების გამართულ მუშაობას, მის ყველანაირ დაცვას (გადახურება, მოკლე ჩართვა), არეგულირებს ტემპერატურას, მუშაობის რეჟიმს და სხვა.



**ნახ. 2. გამაცხელებელი ელექტროციფრული დანადგარი**

### 3. დასკვნა

აღნიშნული სისტემის რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობამ აჩვენა, რომ სამივე ჭაბურღილზე ნავთობის შემცველმა ფენმა უფრო სტაბილურად დაიწყო მუშაობა, მოიმატა ნავთობის დებიტმა, შემცირდა მისი გაწყლოვანების პროცენტული მაჩვენებელი და, რაც მთავარია, საგრძნობლად შემცირდა ნავთობის მოპოვების თვითღირებულება.

აღნიშნულ მოწყობილობას აქვს მხოლოდ და მხოლოდ ელექტროენერგიის ხარჯი, რომელიც თითოეულ ჭაბურღილზე თვეში 10 000 კვტ-ს (1000 ლარი) შეადგენს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდთან ეკოლოგიურად ყველაზე უსაფრთხოა, მთლიანად გამორიცხავს გარემოს დაბინძურებას მუშაობის პერიოდში.



ნახ. 3. 63-ე ჭაბ-ზე სსმ-ის გამაცხელებელი კაბელის დამონტაჟების პროცესი



ნახ. 4. 63-ე ჭაბ-ის სსმ-ზე გამაცხელებელი კაბელის შეერთება ელექტროციფრულ დანადგართან

## ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვისას ტექტონიკური აშლილობით გამოწვეული ბარათულების ანალიზი და მათთან ბრძოლის მეთოდოლოგიის შერჩევა

**რეზიუმე:** გაანალიზებულია ის ძირითადი ბარათულებები, რომლებიც ახლავს ჭაბურღილების ბურღვის პროცესს დროს ტექტონიკური აშლილობების ინტერვალებში შეჭრისას. განხილულია აგრეთვე ის დამატებითი პირობები, რაც ხელშემწყობი ან ხელშემშლელია ასეთი ბარათულებების წარმოქმნისათვის. მითითებულია ის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც გასათვალისწინებელია ბურღვის პროცესების დაპროექტირებისას და წარმოებისას.

**საკვანძო სიტყვები:** ლულის შევიწროება, ჩამონგრევა, ჩამოქცევა, კავერების წარმოქმნა, ხსნარის შთანთქმა, ფლუიდის გამოვლინება, ბალონირების ეფექტი.

### 1. შესავალი

#### 1. დარგის საერთო მიმოხილვა



გურამ ვარშალომიძე,

საქართველოს და უკრაინის საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სტუ-ის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიის“ დეპარტამენტის უფროსი, ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვენ. დირექტორის მრჩეველი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თუ გადავხედავთ დღევანდელი მსოფლიო ბაზრის მოთხოვნას ნავთობსა და გაზზე, მათზე ფასების ზრდას, ადვილი გასაგები იქნება, თუ რატომ იზრდება მოთხოვნა ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ფონდის ზრდაზე.

ნავთობისა და გაზის მრეწველობა ერთ-ერთი უმთავრესი დარგია ენერგეტიკის სფეროში და ამ დარგის პოლიტიკის სწორად წარმართვა ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის. აღნიშნული დარგის ეფექტურობის ასამაღლებლად საჭიროა საწარმოო პროცესების სწორად დაგეგმარება და განხორციელება. მნიშვნელოვანია აგრეთვე დაგეგმარებისას მთელი რიგი ღონისძიებების დასახვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი ბარათულებები, რომლებიც თან სდევს ამ დარგს.



ალექსანდრე ჭიჭინაძე,

შპს „Georgia-Canargo“-ს გენერალური დირექტორი, დოქტორანტი

საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის პროცესში არსებული მრავალი სხვადასხვა სახის ბარათულებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტექტონიკურ რღვევებთან დაკავშირებულ ბარათულებებს. მოგეხსენებათ, რომ საქართველო, როგორც მთელი კავკასიის რეგიონი განლაგებულია სეისმურად აქტიურ, ზონაში სადაც დედამიწის ქერქში მრავლად არსებობს მძლავრი ტექტონიკური რღვევებით გამოწვეული აშლილობები. ასეთი რღვევები ხში-



რად იწვევს ქანების ანკონსოლიდაციას და სამთო და ფენის წნევების მკვეთრ ცვლილებებს, რაც თავისთავად მნიშვნელოვნად ართულებს ჭაბურღილების ბურღვის პროცესს.

## 2. ძირითადი ნაწილი

### 2. ტექტონიკური რღვევებით გამოწვეული გართულებები

აღნიშნული სახის რღვევები ხშირად ცვლის ფენების გეომექანიკურ თვისებებს, რომლებიც ხშირად ხდება დამატებითი გართულებებისა და ავარიების მიზეზი, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის პროცესში. ასეთი სახის გართულებებს განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც განლაგებულია უმეტესი ნავთობისა და გაზის საბადოები და მეტად პერსპექტიული სტრუქტურები. აღნიშნული სახის ტექტონიკური რღვევებით გამოწვეული გართულებები განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს ქვედა მიოცენურ ოლიგოცენურ, სარმატულ, ზედა ეოცენურ და სხვა მიმდებარე ნალექებში, სადაც ბურღვის პროცესში ხშირად გვხვდება ანომალიურად მაღალი ფენის წნევის გრადიენტები, ჯირჯვადი დეჰიდრატირებული თიხები, ანკონსოლიდირებული ქანები. ხშირია აგრეთვე რღვევებით გამოწვეულ ხევებში ბურღვის დროს თანამდევო გრიფონებიც. ბურღვის პროცესში გვხვდება აგრეთვე ფენები მაღალი დახრის კუთხეებით, რომლებიც კომბინირებულია სხვადასხვა სიმაგრის ფენების ხშირ ურთიერთმონაცვლეობასთან, ასეთი პირობები თავისთავად ხასიათდება ჭაბურღილის ლულის უკონტროლოდ გაღუნვისადმი ტენდენციით.

ზემოთ აღნიშნული პირობები ბურღვის პროცესში ხშირად იწვევს შემდეგი სახის გართულებებს:

- 1) ჭაბურღილის ლულის შევიწროება;
- 2) კედლების ჩამოცვენასა და ჩამონგრევას;
- 3) ჭაბურღილის ლულაში კავერნებს;
- 4) იარაღის ჩაჭერებს, გამოწვეულს ლულის კედლების ჩამონგრევით;
- 5) იარაღის ჩაჭერებს, გამოწვეულს დიფერენციალური წნევების ხარჯზე ;
- 6) ფენის ფლუიდის გამოვლინებებს;
- 7) საბურღი ხსნარის შთანთქმებს;
- 8) ჭაბურღილის ლულის გაღუნვას არასასურველი მიმართულებით;
- 9) ზოგ შემთხვევებში, პატარა სიღრმეებზე არტეზიული წყლების სერიოზული გამოვლინებს;
- 10) ბალონირების ეფექტს.

არსებული გართულებებიდან ბოლო პერიოდში გამოვლინდა გართულების სახე ბალონირების ეფექტით, რომელსაც ადრეულ პერიოდში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ან მას აკუთვნებდნენ სხვა სახის გართულებას. არსებული ეფექტი გამოწვეულია წნევის ცვალებადობით, რომლის ვექტორი მიმართულია ჭაბურღილის ლულიდან ფენის მიმართულებით, ან პირიქით, ფენიდან ჭაბურღილის ლულის მიმართულებით. ასეთი წნევების ცვალებადობა გამოწვეულია ჰიდროდინამიკური და ჰიდროსტატიკური დაწოლის ცვალებადობით ჭაბურღილის კედლებზე. ბალონირების ეფექტი სხვა გამომწვევ მიზეზებთან ერთად დამოკიდებულია ფენში არსებული ფლუიდის დაგაზიანების ხარისხზეც. წნევის ცვალებადობის სიდიდე დამოკიდებულია სხვადასხვა პარამეტრზე, რომელთაგანაც ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანია - საბურღი ხსნარში მყარი ფაზის არ-

სებობა. აღნიშნული პირდაპირპროპორციულია საბურღი ხსნარის სიმკვრივისა, ვინაიდან საბურღი ხსნარში სიმკვრივის ასაწვევად გამოიყენება დამამძიმებლები ბარიტის სახით რომელიც მაღალი სიმკვრივის მყარი ფაზაა. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია საბურღი ხსნარის სიმკვრივე და მასში მეტია მაღალი სიმკვრივის მყარი ფაზა, მით უფრო ძნელი ხდება საბურღი ხსნარიდან დაბალი სიმკვრივის მყარი ფაზის გამოყვანა, რომელიც თავისთავად კიდევ უფრო ზრდის მასში ჯამური მყარი ფაზის რაოდენობას. აქედან გამომდინარე, ხსნარში დიდი რაოდენობით მყარი ფაზის არსებობა იწვევს საცირკულაციო წნევის დანაკარგებს მიღგარე სივრცეში, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბურღვის პროცესზე. მიღგარე სივრცეში საცირკულაციო დინამიკური წნევის დანაკარგები იწვევს სანგრევეზე ჰიდროდინამიკურ დაწოლის მატებას სტატიკურ მდგომარეობასთან მიმართებაში. დინამიკურ და სტატიკურ წნევებს შორის არსებული განსხვავება იწვევს ბალონირების ეფექტს, რომელიც თავისთავად იწვევს საბურღი ხსნარის ვექტორის მიმართულების ცვლას. ასეთი ვექტორის მიმართულების ცვლადობა იწვევს საბურღი ხსნარის პენეტრაციას ფენში, ხოლო ჭაბურღილის ლულაში კი საბურღი ხსნარის დაგაზიანებას ფენიდან შემოსული ფლუიდით. საბურღი ხსნარის პენეტრაცია ფენში იწვევს ფენების დაბინძურებას მყარი ფაზით და მათში განვლადობის შემცირებას, ხშირ შემთხვევაში, კი მთლიან ბლოკირებას, რომელიც სავალალო შედეგებით მთავრდება ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვისას ნახშირწყალბადებით გაჯერებულ ფენებში.

### 3. მყარი ფაზის უარყოფითი ზეგავლენა ბურღვის პროცესზე

საბურღი ხსნარის სიმკვრივის მომატების აუცილებლობა ძირითადად გამოწვეულია სამთო და ფენის წნევების მატებით ზოგიერთ ინტერვალებში, რაც თავისთავად დაკავშირებულია, ხშირ შემთხვევებში, ზემოაღნიშნულ ტექტონიკურ რღვევებთან. ასეთი საბურღი ხსნარის სიმკვრივის მატება საბურღი ხსნარში, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, იწვევს ჭარბი მყარი ფაზის არსებობას. ჭარბი მყარი ფაზის არსებობა საბურღი ხსნარში უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჭაბურღილის გაყვანის პროცესზე, ვინაიდან ბურღვის პროცესში საბურღი ხსნარიდან გამოყოფილი ფილტრატის შედეგად ლულის კედლებზე რჩება არამდგრადი მყარი ფაზა ქერქის სახით, რაც თავისთავად იწვევს ჭაბურღილის ლულის დამატებით შევიწროებას. ქერქის წარმოშობის პროცესი განსაკუთრებით სწრაფია ახლად გაბურღულ ინტერვალში, რის შედეგადაც სატეხის ზემოთ ლულის დამატებით შევიწროებას აქვს ადგილი ქერქის ხარჯზე.

### 4. რღვევით გამოწვეული ტრანსფერირებული ფენის წნევები

ჭაბურღილების ბურღვისას ტექტონიკური რღვევების ზონებში ხშირად აქვს ადგილი ინტერვალური წნევების ზრდას. ასეთ წნევების ზრდას ადგილი აქვს, როცა რომელიმე გარკვეულ ინტერვალში ჭაბურღილის ლულით ვკვეთთ რღვევის სიბრტყეს, რომელიც, თავის მხრივ დაკავშირებულია უფრო ღრმა ფენებთან. მაგალითად, თუ ბურღვისას გვაქვს ნორმალური ფენის წნევის გრადიენტი  $1,2 \text{ გ/სმ}^3$ , რომელიც ნორმალურ შემთხვევაში 1500 მ-ზე უნდა ქმნიდეს  $180 \text{ კგ/სმ}^2$  ფენის წნევას, მაგრამ თუკი ამ სიღრმეზე ჭაბურღილის ლულა კვეთს რღვევის ზონას, რომელიც დაკავშირებულია ქვედა, უფრო ღრმა (მაგალითისათვის) 2000 მ-ზე განლაგებულ ფენებთან იგივე ფენის წნევის გრადიენტით ( $1,2 \text{ გ/სმ}^3$ ) და, აქედან გამომდინარე, ფენის წნევა 2000 მეტრზე იქნება 240

კგ/სმ<sup>2</sup>. თუ რღვევის სიბრტყეს გააჩნია თუნდაც დაბალი, მაგრამ გარკვეული გამტარობა, აგრეთვე თუ ფენსა და რღვევის სიბრტყეში არსებული ფლუიდის სიმკვრივე არის (მაგალითისათვის) 0,5 გ/სმ<sup>3</sup>-ის ტოლი, არსებული ფლუიდი შექმნის 1500 და 2000 მ-ებს შორის 25 კგ/სმ<sup>2</sup> ჰიდროსტატიკურ დაწოლას და ბურღვის დროს 1500 მ-ზე რღვევის სიბრტყის გადაკვეთისას მივიღებთ ტრანსფერირებულ წნევას, რომელიც 240-25=215 კგ/სმ<sup>2</sup> ტოლი იქნება ნაცვლად 180 კგ/სმ<sup>2</sup>, რომელიც, თავის მხრივ, 1500 მ-ზე არის 1,43 გ/სმ<sup>3</sup> გრადიენტის ტოლი. ასეთ შემთხვევაში მზურღავები ხშირად მეტად მძიმე ამოცანის წინაშე დგებიან, ვინაიდან ჭაბურღილიდან იწყება ფლუიდის გამოდინება, რაც თავისთავად ითხოვს საბურღი ხსნარის სიმკვრივის გაზრდას, რათა შეწყდეს გამოდინება, ხოლო თუ ხსნარის სიმკვრივე გაიზრდება და ჭაბურღილი დასტაბილურდება რღვევის სიბრტყის მიმართ, ბურღვის გაგრძელების შემდეგ, როცა გავცდებით რღვევის სიბრტყეს ფენის წნევა გააგრძელებს ზრდას ისევე 1,2 გ/სმ<sup>3</sup>-ის ტოლი გრადიენტით. თუ ამ შემთხვევაში შევინარჩუნეთ არსებული საბურღი ხსნარის სიმკვრივე (1,43 გ/სმ<sup>3</sup>), რაც უფრო ქვევით ჩავალთ უფრო გაიზრდება სხვაობა ხსნარის ჰიდროსტატიკურს თუ ჰიდროდინამიკურ დაწოლასა და ფენის წნევას შორის და იგივე 2000 მ სიღრმესთან ჰიდროსტატიკური დაწოლა მიაღწევს 286 კგ/სმ<sup>2</sup>, ნაცვლად 240 კგ/სმ<sup>2</sup>, რაც თავისთავად ზრდის დიფერენციალური წნევების ხარჯზე საბურღი იარაღის ჩაჭერის რისკს, ისევე, როგორც ფენის დაბინძურების რისკს მყარი ფაზის ნაწილაკებით. დიფერენციალური წნევების ხარჯზე საბურღი იარაღის ჩაჭერის რისკი ასევე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტია საბურღი ხსნარში ჯამური მყარი ფაზის რაოდენობა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ძნელდება საბურღი ხსნარის ქერქის კონტროლი, ხოლო რაც უფრო დიდია ქერქი, უფრო მეტია იარაღის ჩაჭერის რისკი, ე.ი. აქაც საბურღი ხსნარის სიმკვრივის ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს.

ასეთ შემთხვევაში საბურღი ხსნარის სიმკვრივის ისევე დაბლა დაწევა არარეკომენდებულია, თუ ეს არ იქნება რაიმე განსაკუთრებული მიზეზით გამოწვეული, ვინაიდან არსებობს რისკი, რომ გარდა ხელახალი გამოვლინებებისა, ჭაბურღილის ლულამ ჩამონგრევის სახით შეიძლება გამოიწვიოს ისეთი რთული ავარია, როგორცაა საბურღი იარაღის ჩაჭერა ცირკულაციის დაკარგვით, რომლის გათავისუფლება, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ხერხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოვერიდოთ საბურღი ხსნარის სიმკვრივის აწევას, თუ უკანასკნელი აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

## 5. გართულებებთან ბრძოლის მეთოდების შერჩევა და რეკომენდაციები

ჭაბურღილის ლულის შევიწროება უნდა ვებრძოლოთ ხსნარის ინჰიბირებით და წყალგაცემის მაქსიმალურად შემცირებით. აგრეთვე რაც შეიძლება მეტად პლასტიკური და გაუმტარი ქერქის მიღწევით.

კედლების ჩამოცვენასა და ჩამონგრევასთან საბრძოლველად უმჯობესია გამოვიყენოთ საბურღი ხსნარში უკეთ შემაბათქაშებელი რეაგენტები, რაც მოხსნის ჭაბურღილის ლულაში კავერებსა და იარაღის ჩაჭერებთან დაკავშირებულ პრობლემებს, გამოწვეულს ლულის კედლების ჩამონგრევითა და ჩამოცვენით.

როცა ადგილი აქვს იარაღის ჩაჭერებს, რომელიც გამოწვეულია დიფერენციალური წნევების ხარჯზე, უმჯობესია შესაძლებლობის მიხედვით მიუახლოვდეთ სა-

ბურღი ხსნარის ჰიდროდინამიკური დაწოლა ფენის წნევას. აგრეთვე, უმჯობესი იქნება საბურღი ხსნარში სრიალი კოეფიციენტის ასამაღლებლად სხვადასხვა სახის ლუბრიკანტების გამოყენება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ხსნარის რეოლოგიურ თვისებებს, რათა არ ჰქონდეს ადგილი დიდ სხვაობას საბურღი ხსნარის სიმკვრივისა და საცირკულაციო სიმკვრივის ეკვივალენტს შორის. უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ, რაც შეიძლება დაბალი ქერქის სისქე.

**ფენის ფლუიდის გამოვლინებისას**, სანამ საბურღი ხსნარის სიმკვრივის აწევას დავიწყებდეთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ნამდვილად ფლუიდის გამოვლინებას აქვს ადგილი და არა ხსნარის წონათა სხვაობას სხვადასხვა ნაწილში. აგრეთვე რღვევის ზონის გადაკვეთისას ხშირად ადგილი აქვს ქვედა ინტერვალებიდან მიგრირებულ დაგროვებულ ჭარბ წნევას. ასეთ შემთხვევებში, ხშირად, მხოლოდ დაგროვილი გაზის ნაწილის ამორეცხვაც საკმარისია, თუ რღვევის სიბრტყეში დიდ განვლადობას არ აქვს ადგილი. თუმცა ეს ყველაფერი დიდი ყურადღებით და მაღალი კვალიფიკაციით უნდა გაკეთდეს და თუ დავრწმუნდებით, რომ მართლა გამოვლინებას აქვს ადგილი უნდა დავადგინოთ და გამოვთვალოთ მოსალოდნელი ფენის წნევა, საბურღი ხსნარის სიმკვრივის სწორად შესარჩევად.

**საბურღი ხსნარის შთანთქმებთან** საბრძოლველად საჭიროა, მოსალოდნელი შთანთქმების ინტერვალების ბურღვისას, ადგილზე ვიქონიოთ სხვადასხვა სახისა და ზომის შემავსებლები. აგრეთვე ადგილზე უნდა გვქონდეს ”ბეჩმიქსერი”, ხვადასხვა მოცულობის და სახის ტამპონების გასაკეთებლად და გასატუმბად.

**ვერტიკალური ჭაბურღილის ლულის გაღუნვასთან** საბრძოლველად სასურველია ბურღვის პროცესში, “ტოტკოს” საშუალებით დროულად ვზომოთ დახრის კუთხეები, ლულის გაღუნვისადმი ტენდენციის მატების დროულად დასაფიქსირებლად, ვინაიდან დაგვიანებული ინფორმაციის შემთხვევაში უფრო რთული იქნება ლულის ვერტიკალურება და გამოიწვევს ისეთ გართულებებს, როგორცაა საბურღი იარაღის ცვეთა, ლულაში ჟოლობების წარმოქმნა და სხვ.

**ბალონირების ეფექტთან** საბრძოლველად ადგილზე უნდა გვქონდეს სხვადასხვა ზომისა და სახის შემავსებლები, რომელთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა კალციუმ კარბონატი  $CaCO_3$  (განსაკუთრებით პროდუქტიული ინტერვალების ბურღვის დროს). დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ხსნარის რეოლოგიას, რათა მაქსიმალურად ერთმანეთთან ახლოს იყოს საბურღი ხსნარისა და საცირკულაციო ეკვივალენტის სიმკვრივეები.

### 3. დასკვნა

#### 6. ბურღვის პროცესების კონტროლი და მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია

ყველა ზემოაღნიშნული საკითხი ჭაბურღილების ბურღვის პროცესში მოითხოვს მომუშავე პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას, კონტროლის მაღალ დონეს და დიდ ყურადღებას.

შპს 622.24

გ. ვარშალომიძე, ა. ჭიჭინაძე

## საბურღი იარაღის ჩაჭერების გამოფხვავი მიზეზების ანალიზი და მათი პრევენცია

**რეზიუმე:** განხილულია ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვისას საბურღი იარაღის ჩაჭერების ძირითადი გამომწვევი მიზეზები. ჩამოთვლილი მიზეზებიდან გაანალიზებულია ზოგიერთი მათგანი. აგრეთვე ჩამოთვლილია ის პრევენციული ზომები, რომლის ბურღვის პროცესში გატარებისას შესაძლებელია მსგავსი საბურღი იარაღის ჩაჭერების თავიდან აცილება.

**საკვანძო სიტყვები:** საბურღი იარაღის ქვედი, იარაღის ჩაჭერა, ჩამოქცევა, ლულის შევიწროვება, ხსნარის შთანთქმა, გრიფონები.

### 1. შესავალი



გურამ ვარშალომიძე,

საქართველოს და უკრაინის საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სტუ-ის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიის“ დეპარტამენტის უფროსი, ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენ. დირექტორის მრჩეველი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ჭაბურღილებში ხშირად გვხვდება ისეთი გართულებები როგორცაა: იარაღის ჩაჭერები, შთანთქმები, გამოვლინებები, გამოვლინებები პატარა სიღრმეებზე, თიხებსა და თიხა-ფიქლებთან დაკავშირებული და აგრეთვე სხვადასხვა სახის გართულებები.



ალექსანდრე ჭიჭინაძე, შპს „Georgia-Canargo“-ს გენერალური დირექტორი, დოქტორანტი

ბურღვითი ოპერაციების

სტატისტიკა გვიჩვენებს რომ აღნიშნული გართულებებიდან ერთერთი ყველაზე პრობლემატურია იარაღის ჩაჭერები. იარაღის ჩაჭერების ძირითადი გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს: დიფერენციალური წნევების ხარჯზე საბურღი იარაღის ჩაჭერები, მონაბურღი ან ჩამონგრეული მასალის გამოლექვა, ტექტონიკურად გადაპრესილი თიხები, დეჰიდრატირებული თიხები, სამ-

თო წნევები, ტექტონიკური წნევები, ანკონსოლიდირებული ფენები, ნაპრალოვანი ფენები, საბურღი ხსნარის შთანთქმები, პლასტიკური ფენები, გარეშე სხეული ჭაბურღილის ლულაში, კოლობები, ჭაბურღილის ლულის გაღუნვის ძლიერი ინტენსიურობა, ფილტრაციის სქელი ქერქი, ჭაბურღილის ლულის შევიწროება, მობილური ფენები, ხისტი საბურღი ქვედი და ა.შ.

### 2. ძირითადი ნაწილი

აღნიშნულ სტატიაში განვიხილავთ საბურღი იარაღის ჩაჭერების მხოლოდ რამდენიმე გამომწვევ მიზეზს:

1. დიფერენციალური წნევების ხარჯზე საბურღი იარაღის ჩაჭერები;
2. რღვევის ზონებში ნაკლებად შეცემენტებული და არაკონსოლიდირებული ფენების კედლების ჩამონგრევები და ჩამოქცევები;
3. საბურღი ხსნარის შთანთქმები;
4. ჭაბურღილის ლულის ხშირი შევიწროება;
5. საბურღი იარაღის ქვედის სიხისტე ჭაბურღილის ლულის გეომეტრიასთან.

### 1. დიფერენციალური წნევების ხარჯზე საბურღი იარაღის ჩაჭერები

ჭაბურღილის ლულაში ჰიდროსტატიკური და ჰიდროდინამიკური დაწოლის ფენის წნევაზე ბევრად გადამეტება ზრდის სანგრევზე დაწოლას, რაც იწვევს ბურღვის მექანიკური სიჩქარის შემცირებასა და დამატებითი ფილტრატის შეღწევას ფენში უფრო ღრმად და მის უფრო მეტად დაზიანებას. ბურღვის პროცესში გარკვეული რაოდენობით მყარი ფაზის არსებობას თავს ვერ ავარიდებთ, ვინაიდან აღნიშნული ფენები ხშირად ხასიათდება ანომალიურად მაღალი ფენის წნევის გრადიენტებით, რაც იძულებულს გვხდის გავზარდოთ ჭაბურღილის ლულაში საბურღი ხსნარის ჰიდროსტატიკური დაწოლა, რათა უკანასკნელი გაეუტოლოთ ფენის წნევას, რომ არ ჰქონდეს ადგილი ფენის ფლუიდის გამოვლინებას. ჭაბურღილის ლულაში ჰიდროსტატიკური დაწოლის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საბურღი ხსნარის სიმკვრივის გაზრდის ხარჯზე, მასში დამამძიმებლების შეყვანით. საბურღი ხსნარების ასეთი ტიპის დამამძიმებლების სახით დღეისათვის ძირითადად გამოიყენება ბარიტი. *API* სტანდარტის (*American Petroleum Institute*) ბარიტის გამოყენების უპირატესობა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ იგი თავისთავად წარმოადგენს მაღალი სიმკვრივის მყარ ფაზას, რომლის მშრალი სახის სიმკვრივე  $4.25 \text{ გ/სმ}^3$  შეადგენს, მისი მაქსიმალური ნაწილაკის ზომა არ უნდა აღემატებოდეს  $75 \text{ მიკრონს}$ . ყოველთვის უმჯობესია საბურღი ხსნარის სიმკვრივის აწევა დამამძიმებლით და არა დისპერჰირებული ფენის ნაწილაკების ხარჯზე, ვინაიდან საბურღი ხსნარის გარკვეულ სიმკვრივემდე აწევისას ბარიტის გამოყენებისას საჭირო იქნება გაცილებით ნაკლები რაოდენობის მყარი ფაზა. ზემოაღნიშნულის გარდა მყარი ფაზის გაზრდა საბურღი ხსნარში იწვევს (დიფერენციალური წნევების ხარჯზე) საბურღი იარაღის ჩაჭერის რისკის ფაქტორის გაზრდას, რაც თავისთავად, უმეტეს შემთხვევებში, მძიმე ავარიით სრულდება.

აღნიშნული გართულებების თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა მეთოდი არსებობს. სპეციალისტების ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, აღნიშნულ გართულებებთან საბრძოლველად საჭიროა საბურღი ხსნარის წყალგაცემის შემცირება და ჰიდროსტატიკური წნევის მნიშვნელოვანი გაზრდა ჭაბურღილის ლულაში, რათა შეიქმნას ჭარბი წნევა ლულიდან ფენის მიმართულებით. აღნიშნული მეთოდი ფართოდ იყო გამოყენებული ადრინდელ პერიოდში. მაგ., ნინოწმინდის ფართობზე. ანალოგიურ ფენებში ბურღვისას, უმეტეს შემთხვევაში, გამოყენებული იყო საბურღი ხსნარები  $1,9 \text{ გ/სმ}^3$ , ზოგიერთ შემთხვევაში -  $2,05 \text{ გ/სმ}^3$  სიმკვრივის მქონე საბურღი ხსნარები, თუმცა აღნიშნული ჭაბურღილები იბურღებოდა დიდი გართულებებით და ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სპეციალისტების მეორე ჯგუფის მოსაზრებით, რომელსაც მხარს უჭერენ სტატიის ავტორები, აღნიშნული მეთოდი ამართლებს მხოლოდ დროის მოკლე პერიოდში, სულ რამდენიმე (4-5) დღე, რის შემდეგაც გართულებები უფრო მძიმდება, ვინაიდან ჭაბურღილის ლულაში ჰიდროსტა-

ტიკური დაწოლის მნიშვნელოვნად გადამეტება ფენის წნევასთან მიმართებაში იწვევს საბურღი ხსნარში არსებული ფილტრატის უფრო დრმა შეღწევას თიხიან ფენებში. ეს გარემოება, თავისთავად, თიხების გაჯირჯეებას განაპირობებს ლულიდან ქანის სიღრმეში, რის შედეგადაც ჭაბურღილის ლულა გარკვეული დროის შემდეგ ჰკარგავს მდგრადობას და უფრო მეტად რთულდება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დიფერენციალური წნევის გაზრდის დროს დროთა განმავლობაში გამოყოფილი ფილტრატის ფენში შეღწევით ჭაბურღილის კედლების მიმდებარე ფართობზე ხდება მათში სამთო წნევის ხელოვნური ზრდა, რაც განაპირობებს დიფერენციალური წნევის შემცირებას. აქედან გამომდინარე, ჭაბურღილის კედლები ისევე განაგრძობენ ჩამონგრევას, ხოლო ვინაიდან, არსებულ შემთხვევაში, საბურღი ხსნარის სიმკვრივე ბევრად მეტია, ვიდრე ფენის წნევა, შემდგომი გართულებები ღებულობს უფრო მწვავე ხასიათს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ჭაბურღილი „მანავი 11“, რომლის ბურღვისას აღნიშნულ თიხებში აღვიღოთ მრავალჯერად ჩაჭერებს, რომლებიც საწყის ეტაპზე შედარებით ადვილად თავისუფლდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც საბურღი ხსნარის სიმკვრივე იქნა აწეული  $2.20 \text{ გ/სმ}^3$ -მდე ვერცერთი ჩაჭერილი იარაღის გათავისუფლება ვერ მოხდა და აღნიშნული ავარიიდან გამოსვლა ხდებოდა მხოლოდ მეორე ლულის შეჭრით, ვინაიდან ჩამონგრევათა გამოწვეულ გართულებებს აგრეთვე ემატებოდა ჩაჭერები, გამოწვეული დიფერენციალური წნევებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული სახის ჩაჭერები უფრო რთულ სახეს ღებულობს ჭაბურღილის ლულის დაღრმავებასთან პარალელურად, რაც აიხსნება იმ გარემოებებით, რომ, ვინაიდან საბურღი ხსნარის ჰიდროსტატიკური დაწოლა შეადგენს საბურღი ხსნარისა და ჭაბურღილის ლულის სიღრმის ნამრავლს, მასში ამ ორი კომპონენტიდან ნებისმიერის ზრდა იწვევს ხსნარის ჰიდროსტატიკური დაწოლის ზრდას. ასეთ შემთხვევაში როცა ფენის წნევის გრადიენტი კონსტანტაა ნიშნავს, რომ ფენის წნევა იზრდება თანაბრად. იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს გარკვეული სხვაობა საბურღი ხსნარის წონასა და ფენის წნევას შორის, თუნდაც ეს სხვაობა იყოს შენარჩუნებული, ჭაბურღილის ლულის დაღრმავებასთან ერთად წნევათა სხვაობა დაღრმავების პროპორციულად გაიზრდება.

არსებულ მოსაზრებას აძლიერებს აგრეთვე ის გარემოება, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან, იგივე ნინოწმინდის ფართობზე ჭაბურღილების ბურღვისას აღნიშნულ ფენებში გამოყენებული იყო გაცილებით დაბალი სიმკვრივის ხსნარები -  $1.28$ -დან  $1.55 \text{ გ/სმ}^3$ -მდე, ვიდრე გამოიყენებოდა მანამდე, რის შედეგადაც ჭაბურღილების მშენებლობა დასრულდა გაცილებით უფრო მალე და ნაკლები გართულებით.

აგრეთვე, მაგალითისთვის თუ შევადარებთ მანავის ფართობზე გაბურღულ №11 და 12 ჭაბურღილებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ №12 ჭაბურღილი გაცილებით ნაკლები გართულებით იბურღებოდა, ვინაიდან აქ ბურღვისას გამოყენებული იყო გაცილებით დაბალი სიმკვრივის მქონე საბურღი ხსნარი ნავთობის ფუძეზე.

ზემოაღნიშნული მაღალი რისკის მატარებელი ფენების ბურღვისას ჭაბურღილებში ნავთობიანი ფუძის ხსნარის გამოყენება ბევრად ეხმარება ბურღვის პროცესს, ბურღვის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვინაიდან ასეთი ტიპის ხსნარებში გაცილებით მაღალია სრიალის კოეფიციენტი, ვიდრე პოლიმერული, თიხის ან რაიმე სხვა ტიპის ხსნარებში. მიუხედავად მაღალი უსაფრთხოებისა, ბურღვის თვალსაზრისით, ნავთობიანი ფუძის ხსნარებს აქვს უარყოფითი მხარეები. მაგალითად,

გართულებულია ჭაბურღილის ლულაში ჰიდროკარბონატების შემცველი ფენების დეტექტაცია კაროტაჟული სამუშაოების ჩატარებისას. აგრეთვე, ასეთი ტიპის ხსნარების გამოყენება დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ვინაიდან მისი დასამუშავებელი ქიმიური რეაგენტები ბევრად უფრო ძვირია, ვიდრე ჩვეულებრივი ხსნარების დასამუშავებელი. ამას გარდა, ნავთობის ფუძეზე დამზადებულ ხსნარებში მის დაახლოებით 60-დან 80-მდე პროცენტს შეადგენს დიზელის საწვავი, რაც, ერთი მხრივ, საკმაოდ ძვირად ღირებული პროდუქტია, ხოლო, მეორე მხრივ, მისი არსებობა საბურღ ხსნარში ართულებს მის უტილიზაციას ბურღვის პროცესის დამთავრების შემდეგ. ამ უკანასკნელის გამოყენება უფრო მეტად გამართლებულია, როცა რამდენიმე ჭაბურღილის გაბურღვა იგეგმება მსგავსი პირობებით, ვინაიდან არსებული ხსნარის გადატანა ჭაბურღილიდან ჭაბურღილზე რეკომენდებული და მისი ხარჯი თითოეული ჭაბურღილისათვის შემცირდება.

პრობლემების თავიდან ასაცილებლად უნდა ვეცადოთ:

1) ჰიდროდინამიკური და ჰიდროსტატიკური დაწოლები მაქსიმალურად მიუახლოვდეთ ფენის წნევას. ამისათვის მაქსიმალურად ბურღვის პროცესში უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია ფენის წნევებზე

2) უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად შევამციროთ საბურღ ხსნარში მყარი ფაზის რაოდენობა, რისთვისაც მოსალოდნელი გართულებული ინტერვალების ბურღვისას საჭიროა გამოვიყენოთ შესაბამისად სწორად დაპროექტებული ხსნარის გამწმენდი დანადგარები.

3) უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად გავზარდოთ საბურღ ხსნარში სრიალის კოეფიციენტი სხვადასხვა დანამატის შეყვანით.

4) აუცილებელია სწორად შეირჩეს ბურღვის პროცესში ტუმბოების წარმადობა, ვინაიდან სრულყოფილად მოხდეს მონაბურღი მასალის ამორეცხვა და არ შეიქმნას დასაშვებ მაქსიმუმზე მეტი აღმავალი სიჩქარე რგოლურ სივრცეში, რათა დასაშვებზე მეტად არ გავზარდოთ ჰიდროდინამიკური კარგვები რგოლურ სივრცეში და არ გამოვიწვიოთ სუსტად შეცემენტებული ფენების ეროზია.

## **2. რღვევის ზონებში ნაკლებად შეცემენტებული და არაკონსოლიდირებული ფენების კედლების ჩამონგრევები და ჩამოქცევები**

აღსანიშნავია, იარაღის ჩაჭერის შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია რღვევის ზონებსა და მათი შემადგენელი ქანის ნაწილაკების შეუცემენტებლობასთან. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული შემთხვევები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გართულებებს, ვინაიდან ასეთი რღვევებით გამოწვეული აშლილობების ინტერვალში სატეხის შეჭრისას ხდება სასანგრეო ნაწილისა და მთელი აღნიშნული ინტერვალის დაშლა, რაც იწვევს ჭაბურღილის ლულაში დიდი კავერნების წარმოშობას. ასეთი კავერნები იწვევს ბურღვის პროცესის მნიშვნელოვან გართულებას, ვინაიდან აღნიშნულ ინტერვალში ხდება რგოლურ სივრცეში საბურღი ხსნარის აღმავალი სიჩქარის ვარდნა, რაც იწვევს მონაბურღი ან ჩამონგრეული ნაწილაკის გამოლექვას და დაგროვებას არსებულ კავერნაში. აღნიშნულ შემთხვევაში საბურღი ხსნარის შემცირებული აღმავალი ჭავლი ვეღარ უზრუნველყოფს მონაბურღი/მონგრეული ნაწილაკების ამოტანას დედამიწის ზედაპირზე, რათა საბურღ ხსნარში შეიძინოს გარკვეული დაძირვის სიჩქარე. მონაბურღი/მონგრეული ნაწილაკის ტრანსპორტირების კოეფიციენტი დრამატულად ეცემა. სანამ საბურღი ხსნარის ცი-



რკულაციას აქვს ადგილი ჭაბურღილის ლულაში, დაგროვილი მონაბურღი/ჩამონგრეული ნაწილაკები გროვდება და კავერნებშია, საბურღი ტუმბოების გამორთვის შედეგად ხდება ცირკულაციის შეწყვეტა, რათა გაკეთდეს საბურღი მილის დამატება სიდრემში გადასაადგილებლად ან სხვა მიზეზით. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კავერნაში დაგროვილი ნაწილაკების დაცურებას, რაც, თავისთავად, იწვევს საბურღი იარაღის ირგვლივ რგოლური სივრცის გადაკეტვას და იარაღის ჩაჭერას. აღნიშნული ავარია განსაკუთრებით ძნელი სალიკვიდაციო ხდება, როცა თან ხდევს საბურღი ხსნარის ცირკულაციის დაკარგვა. საბურღი იარაღის ზემოთ-ქვემოთ მოძრაობა, როცა პარალელურად არ არსებობს ცირკულაციის საშუალება, დაახლოებით 90% შემთხვევებში სავალალოდ მთავრდება და ვერ ხდება იარაღის გათავისუფლება. აღნიშნული შემთხვევის დროს იარაღის გასათავისუფლებლად, პირველ რიგში, ადგილი აქვს ცირკულაციის აღდგენის მცდელობას, რომლის დროსაც, თუ მოხერხდა ცირკულაციის აღდგენა, იარაღის გათავისუფლების წარმატების ფაქტორი ბევრად იზრდება. თუ ცირკულაციის გაყვანის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში ავარია უფრო მძიმდება, ვინაიდან ცირკულაციის გაყვანის მცდელობისას საბურღი იარაღის ირგვლივ რგოლურ სივრცეში წარმოქმნილ საცობზე ხდება დიფერენციალური წნევის ზრდა, რაც იწვევს წარმოქმნილი საცობის გამოპრესას და იარაღის უფრო მეტად ჩაჭერას.

### აღნიშნული საფრთხის არსებობისას

1) უმჯობესია დროულად გამოვიყენოთ სპეციალური შემაბათქაშებელი მასალები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს კედლების შებათქაშებას, ვინაიდან დაგვიანების შემთხვევაში ასეთი დანამატების შეყვანა სათანადო ეფექტს ვერ იძლევა.

2) თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული საბურღი ხსნარის კუთრი წონის აწვევის შესახებ, რათა დავიჭიროთ ფენები ჭარბი წნევის ხარჯზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გართულებული ინტერვალის ზედა და მომდევნო ინტერვალზე მოსალოდნელი გართულებებიც, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ასეთ გადაწყვეტილებას უარესი შედეგი მოყვება.

3) აღნიშნული საფრთხის არსებობისას, საბურღი იარაღის (მილის) დამატების შემდეგ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგუშვათ იარაღის ქვემოთ გადაადგილება მანამ, სანამ სრულად არ აღსდგება ცირკულაცია.

### 3. საბურღი ხსნარის შთანთქმები

საბურღი ხსნარის შთანთქმების გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს:

1) საბურღი ხსნარის სიმკვრივესა და ფენის წნევის გრადიენტს შორის დიდი სხვაობა;

2) მიღგარე რგოლური სივრცის შემცირება გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით, (ჭაბურღილის ლულის შევიწროება გამოწვეული თიხიანი ფენების გაჯირჯეობით, სქელი ქერქი და ა.შ.);

3) ჰიდროდინამიკური წნევების დანაკარგების ზრდა მიღგარე სივრცეში რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს მე-2 პუნქტით;

4) საბურღი იარაღის ზომიერზე სწრაფი დაშვება, რომელმაც შეიძლება გა-

მოიწვიოს პორშინების ეფექტი;

5) გეოლოგიური პირობები, რაც გამოიხატება ფენების გამტარობაში, ფორიანობაში, ნაპრალების არსებობაში, კავერნებში;

6) კედლების ჩამონგრევისა და ჩამოცვენის დროს ცირკულაციის აღდგენის მცდელობა და ა.შ.;

7) მონაბურღი ან ჩამოცვენილი მასალის არასრულყოფილი ამორეცხვა.

ჭაბურღილის ბურღვის პროცესში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბურღი ხსნარის დინამიკას. ეს უკანასკნელი უნდა შეირჩეს ისე, რომ ცირკულაციის დროს აღმავალმა ჭავლმა უზრუნველჰყოს მონაბურღის ამოტანა, რათა ტრანსპორტირების კოეფიციენტი იყოს პოზიტიური ანუ ხსნარის აღმავალი დინების სიჩქარე არ უნდა იყოს კრიტიკულზე დაბალი. ამავე დროს, იგი არ უნდა იყოს იმ ოპტიმალურ სიდიდეზე მეტია ვიდრე ეს საჭიროა, ვინაიდან გადაჭარბებული აღმავალი ჭავლი, რომელიც მიღწეული იქნება ტუმბოების წარმადობის გაზრდით, გამოიწვევს ჭაბურღილის ლულაში ჰიდრავლიკური დანაკარგების ზრდას რგოლურ სივრცეში რაც, თავისთავად, შთანთქმების ან სხვა გართულებების მიზეზი შეიძლება გახდეს.

საყურადღებოა ის ფაქტორი, რომ ყოველ მონაბურღ ან ჩამოცვენილ ნაწილაკს გააჩნია მისი დაძირვის სიჩქარე. ეს განმარტება განსაზღვრავს მის სწრაფვას სტატიკურ პირობებში გრავიტაციულად ქვემოთ გადაადგილებისკენ. რაც შეეხება ხსნარის დინამიკას აუცილებელია, რომ ჭაბურღილში ცირკულაციის დროს ხსნარის აღმავალი სიჩქარე აღემატებოდეს მონაბურღი ან ჩამოცვენილი/ჩამონგრეული ნაწილაკის დაძირვის სიჩქარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხერხდება ამ ნაწილაკის ამორეცხვა, რაც გამოიწვევს მონაბურღი ნაწილაკების დაგროვებას მიღგარე სივრცეში და რგოლური სივრცის გადაკეტვას (უმეტეს შემთხვევაში, სტატიკურ რეჟიმში გადასვლის დროს).

სანგრევის მონაბურღი ნაწილაკებისაგან გაწმენდისათვის ბურღვის პროცესში ტუმბოების მწარმოებლურობის შესარჩევად მიღებულია, ტუმბოების წარმადობა შევარჩიოთ ისე, რომ ბურღვის პროცესში ჭაბურღილის დიამეტრის თითოეულ დიუმზე მოდიოდეს 30-50 გალონი წუთში ანუ სატეხის დიამეტრის თითოეულ სანტიმეტრზე უნდა მოდიოდეს 0,75-დან 1,24 ლ/წმ ტუმბოების წარმადობა.

თუ გავითვალისწინებთ ჭაბურღილის ლულის რეცხვის ზემოაღნიშნულ დიაპაზონში ჩამოთვლილ მონაცემებს, სანგრევის უკეთ რეცხვისათვის უმჯობესია წარმადობის მაქსიმალურად მიახლოება ზედა ზღვარზე, რომლის დროსაც მაქსიმალურად დიდია წნევის ვარდნა სატეხის შტუცერებზე, რათა დროულად მოხდეს სანგრევის მონაბურღი ნაწილაკებისაგან გამოთავისუფლება. მაგრამ ბურღვის პროცესში ტუმბოების წარმადობის შერჩევისას მხედველობაში მიიღება ტუმბოების მაქსიმალური წარმადობით რეცხვის უარყოფითი მხარეებიც, რასაც ხშირად ახლავს შესაძლო გართულებები, კერძოდ მისი შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ფენის გამტარუნარიანობა და მისი ჰიდროგახლეჩის გრადიენტი, რომლის გათვალისწინების იგნორირებით შეიძლება გამოვიწვიოთ საბურღი ხსნარის შთანთქმები, ხოლო უარეს შემთხვევაში ფენების ჰიდროგახლეჩა, რომელმაც, თავისთავად, შეიძლება მეტად გაგვირთულოს როგორც ბურღვის პროცესი, ასევე ამ პროცესის უსაფრთხოება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ თუ ბურღვის პროცესი მიმდინარეობს სუსტად შეცემენტებულ ფენებში, ზომიერზე მეტმა სიჩქარემ შესაძლოა გამოიწვიოს ფენების ეროზია, რისი თანამდევი ეტაპიც იქნება შემდგომში ჭაბურღილის ლულაში კავერნების განვითარება. რაც უფრო დი-

დია ჭაბურღილში კავერნები, მით უფრო დიდია საბურღი ხსნარის შთანთქმების ინტენსიურობა, მათში დაგროვილი მონაბურღი ნაწილაკების რაოდენობა, რაც შესაძლოა გახდეს ბურღვის შემდგომ პროცესში შთანთქმის მიზეზი.

აღნიშნული პრობლემების პრევენციისათვის აუცილებელია ისეთი ინტერვალების ბურღვა, სადაც მოსალოდნელია მსგავსი შთანთქმები და მივმართოთ შემდეგი სახის ღონისძიებებს:

1) ვეცადოთ ხსნარის პარამეტრები დავიჭიროთ ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საბურღი ხსნარის სიმკვრივესა და ფენის წნევის გრადიენტს შორის სხვაობა;

2) მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი წნევის ჰიდროდინამიკური კარგვები რგოლურ სივრცეში;

3) ჭაბურღილის ტერიტორიაზე აუცილებლად საჭიროა სხვადასხვა ზომის შემავესებლები, რათა მოხდეს მათგან დამზადებული ტამპონების შეტუმბვა შთანთქმების ინტერვალებში.

#### 4. ჭაბურღილის ლულის ხშირი შევიწროებები

აღნიშნული ქანები ხასიათდება მაღალი რეაქციულობით საბურღი ხსნარის ფილტრატთან მიმართებაში და დაბალი მდგრადობით. გართულების წარმოქმნის ძირითადი მიზეზია დეჰიდრატირებული ჯირჯვადი თიხები, რომლებიც ლულის გაყვანისას შედის რეაქციაში საბურღი ხსნარიდან გამოყოფილ თავისუფალ წყლის ფილტრატთან, შედეგად ხდება ამ უკანასკნელის გაჯირჯვება. აღნიშნული თიხების გაჯირჯვების შედეგად ჭაბურღილის ლულაში წარმოიქმნება გართულებები, რომლებიც ართულებს ბურღვის პროცესს. სირთულეები გამოიხატება ჭაბურღილის ლულის ხშირ შევიწროებასა და კედლების ჩამონგრევაში, რასაც მეტწილად ახლავს საცირკულაციო წნევების გაზრდა და სარეცხი სითხის შთანთქმა. აღნიშნული გარემოებები, თავისთავად, იწვევს იარაღის ჩაჭერებს. ასეთი გაჯირჯვებული თიხები ჭაბურღილის ლულაში განიცდის შემდგომ დისპერგაციას ვინაიდან გაჯირჯვების მომენტში ხდება მათი დამაკავშირებელი ჩონჩხის დარღვევა, რაც იწვევს მათ დანაწევრებას წვრილ ნაწილებად, ხოლო შემდგომ საბურღი ხსნარში გადასვლას დაბალი სიმკვრივის მყარი ფაზის სახით.

აღსანიშნავია ის შემთხვევები, როცა ადგილი აქვს ჭაბურღილის ლულის შევიწროებს ჭაბურღილის ლულის კედლებზე წარმოქმნილი ქერქის ხარჯზე. ასეთი შემთხვევები იწვევს დიდ გართულებებს, ვინაიდან, თუ დროულად არ მივიღეთ ზომები ადვილი შესაძლებელია მომდევნო ჩაშვება-ამოღებითი ოპერაციების დროს მოხდეს არსებული ქერქის მოხვეტა, რასაც თან სდევს ჯერ საბურღი იარაღის ზეჭიმვა, შემდეგ თუ დროულად არ გავრეცხეთ ჭაბურღილი და არ ამოვიტანეთ ზედაპირზე მოხვეტილი ქერქი, იარაღის ჩაჭერა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, სავალალოდ მთავრდება. თუ დაგვიანდა ლულის გათავისუფლება მოხვეტილი ქერქისაგან, ის მთლიანად კეტავს რგოლურ სივრცეს, რაც შეუძლებელს ხდის ცირკულაციის აღდგენას.

აღნიშნული პრობლემების თავიდან ასაცილებლად უნდა ვეცადოთ:

1) თიხების მოსალოდნელი გაჯირჯვების ინტერვალებში საბურღი ხსნარში დავიჭიროთ მინიმალური წყალგაცემა;

2) მაქსიმალურად სწორად შევარჩიოთ პირველადი და მეორეულ ინჰიბიტო-

რები;

3) უნდა ვეცადოთ მინიმუმამდე დავიყვანოთ საბურღი ხსნარის ქერქის სისქე, რისთვისაც მაქსიმალურად შევამციროთ საბურღი ხსნარში მყარი ფაზის რაოდენობა, და მოსალოდნელი გართულებული ინტერვალების ბურღვისას გამოვიყენოთ სწორად დაპროექტებული ხსნარის გამწმენდი დანადგარები.

### 5. საბურღი იარაღის ქვედის სიხისტის შეცვლა

ჭაბურღილის ბურღვისას ლულა არასოდეს არ არის აბსოლუტურად გლუვი და სწორხაზოვანი. ბურღვის პროცესებს ყოველთვის თან სდევს ლულის გამრუდების სხვადასხვა სიდიდის ინტენსიურობა, საბურღი ლულაში არსებული საფეხუროვანი პროფილი, ლულის სპირალურობა, მიმართულების ცვალებადობა და ა.შ.

ჭაბურღილების ბურღვის ისტორიაში სხვადასხვა მეთოდი გამოიცადა, რათა მიეღწიათ რაც შეიძლება მეტად სწორხაზოვანი და წრფივი პროფილისათვის, მაგრამ ყოველ ნაცად მეთოდს თან სდევს გარკვეული უარყოფითი მხარეები. მაგალითად, ცნობილია, რომ ბურღვის როტორული მეთოდის დროს, რაც უფრო ხისტი საბურღი იარაღის ქვედი, მით უფრო წრფივია გაბურღული ლულა, მაგრამ დიდი სიხისტის მისაღწევად საბურღი ქვედში უნდა დავაყენოთ მინიმუმ ორი ან სამი ცენტრატორი, რაც, თავისთავად, ზოგიერთ შემთხვევაში, მოუხერხებელს ხდის ბურღვის პროცესს. თუ მაინც ექნა ადგილი ჭაბურღილის ლულის გამრუდებას, გაღუნვის კუთხის დაგდება შეუძლებელი იქნება იარაღის ამოღებისა და შემდგომში ქანქარა ქვედის ჩაშვების გარეშე. დამატებით ცენტრატორებზე ჩობალის დახვევის შემთხვევაში იზრდება მიღგარე სივრცეში ჰიდროდინამიკური დანაკარგები, რაც ზრდის შთანთქმის რისკს, ამცირებს მექანიკურ სიჩქარეს, უფრო რთულს ხდის იარაღის ამოღების პროცესს და ა.შ. 1970-1980-იან წლებში გამოიცადა ე.წ. “მახავიკი” დიდი დიამეტრის ლულებში, რამაც, პროფილის თვალსაზრისით, კარგი შედეგი მოგვცა, მაგრამ მისი მოუხერხებლობის გამო ფართო გავრცელება ვერ პოვა ბურღვის პროცესში.

ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო ჭაბურღილის ღია ლულაში ხდება უფრო მეტი სიხისტის ქვედის დაშვება, რასაც თან სდევს იარაღის ჩაჭერა, რომელიც ძნელად გათავისუფლებადია. აღნიშნულ შემთხვევაში იარაღის ჩაჭერის მიზეზი ხდება საბურღი იარაღის ქვედის შეუსაბამობა გაბურღული ლულის პროფილთან. ასეთ შემთხვევაში იარაღის დაშვება ხდება უპრობლემოდ, მაგრამ მისი ამოღება ძალიან ძნელია.

### 3. დასკვნა

1) ყოველი კონკრეტული პირობებისათვის, დასახული ამოცანის გათვალისწინებით, შეირჩეს კონკრეტული საბურღი ქვედი. 2) ჭაბურღილის დაპროექტების პერიოდში ყოველი ინტერვალისთვის სასურველია შეირჩეს ისეთი ქვედი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ინტერვალის გავლას სიხისტის შეცვლის გარეშე. ქვედის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს გაბურღულ ლულაში დასაშვები საცავი კოლონის სიხისტეც, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დამატებითი ლულის დამუშავების გარეშე ხისტი საბურღი ქვედით; 3) თუ ქვედის გახისტება გახდა აუცილებელი, საჭიროა სპეციალური უსაფრთხო ზომების მიღება, უკანას-

კნელის დაშვებაზე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს რომ ზემოხამოთვლილი გართულებებისაგან გამომწვეული იარაღის ჩატერების პრევენცია გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე შემდგომში მათი მიზეზით გამომწვეული ავარიების ლიკვიდაცია, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს ჭაბურღილის მშენებლობის ხარჯების მკვეთრ ზრდას.

УДК 622.24

Г. Х. Варшаломидзе, М. Р. Сурамелашвили,  
А. Чичинадзе, Г. Хецуриани

## КОМБИНИРОВАННАЯ ОБРАБОТКА ЦЕМЕНТНЫХ РАСТВОРОВ ВОДНЫМ ЭКСТРАКТОМ ЧАЙНЫХ ОТХОДОВ И КАЛЬМАТРОНОМ

**Резюме:** «Кальматрон» рекомендуется использовать в цементных растворах в качестве защитного материала при цементировании скважины бетонных и железобетонных конструкций в условиях воздействия воды и защиты от коррозии при воздействии глубинных агрессивных сред, в качестве уплотняющего и герметизирующего материала для стыков, швов, трещин и других дефектных участков пород, при бурении нефтяных и газовых скважин.

**Ключевые слова:** скважина, цементирование, «кальматрон», цементирующие растворы.

### 1. Введение



**Г. Х. Варшаломидзе,**

Председатель Департамента "Технология нефти и газа" горно-геологического фак-та ГГУ, академик Инженерной академии Грузии и Украины, советник ген. директора Корпорации нефти и газа Грузии, Лауреат национальной премии Грузии, профессор

В настоящее время, с появлением глубоких и сверхглубоких скважин с температурой на забое 150 – 200°C и более, для цементных растворов нужны особые реагенты-замедлители сроков схватывания растворов.

Для защиты подземных сооружений от разрушения должны быть подобраны коррозионностойкие, долговечные и водонепроницаемые цементные растворы. С целью эффективного проведения цементирования скважин необходимо широкое регулирование параметров цементных растворов, путем обработки разными химическими реагентами и добавками.



**М. Р. Сурамелашвили,**

лаборант кафедры «техника и технология бурения скважин нефти и газа»

### 2. Основная часть



**А. Чичинадзе,**

генеральный директор ООО „Georgia-Canargo“, докторант

Разрушение цементного камня под воздействием агрессивных пластовых вод может быть причиной нарушения герметизации цементного кольца, прорыва вод и обводнения скважин. Поэтому не исключено, что одной из многочисленных причин, вызывающих быстрое обводнение скважин, является коррозия цементно-бетонного кольца [1, 4].

Скорость коррозии цементного камня в скважинах, особенно на границе грунтов с



**Г. Хецуриани,**

докторант

**მეცნიერება - გურჯინის ახალი გენიკა და ტექნოლოგია, მართვის აპრობაციული სისტემები - SCIENCE**

различными физико-химическими свойствами, зависит от влажности, содержания сульфатов, хлоридов, сероводорода, значения рН грунта и электрохимических характеристик содержащихся в них вод.

В настоящее время о качестве приготовления раствора судят по косвенным признакам: по его плотности, растекаемости, статическому напряжению сдвига и др. Если эти показатели соответствуют рекомендуемому, то считается, что качество приготовления цементного раствора хорошее.

Для повышения качества цементирования обсадных колонн и улучшения реологических свойств цементных растворов, для увеличения сроков их загустевания в лаборатории гидротехники Грузинского научно-исследовательского института гидротехники и мелиорации были применены реагенты - водный экстракт чайных отходов (ВЭЧО) [2].

Реагенты ВЭЧО и ВЭЧО+NaOH+НСОН добавляются к цементным растворам в количестве 0,5-5% от веса цемента, при водоцементном отношении 0,45-0,5, которые обеспечивают увеличение срока схватывания цементных растворов в два раза и больше, в зависимости от объема добавки. Кроме того, снижаются вязкость, СНС растворов и улучшается прокачиваемость последнего.

Результаты лабораторных исследований с добавкой ВЭЧО на Каспийский сульфатостойкий пуццолановый портландцемент (Грузинская республика) приведены в таблицах 1, 2, 3.

В настоящее время на колхидском месторождении при цементировании глубоких скважин для увеличения сроков схватывания цементных растворов в широком масштабе применяют дорогостоящую карбоксиметилцеллюлозу (КМЦ), ее же полностью заменяет предложенный нами экстракт их отходов (отбросов) чайной промышленности.

**Таблица 1**

Наименование цемента и добавки	В/Ц	Время схватывания		Уд. вес $\gamma$ , г/см <sup>3</sup>	Растекаемость L, см	СНС <sub>2</sub> мг/см <sup>2</sup>		При комнатной температуре, t°C
		начало	конец			СНС <sub>1</sub>	СНС <sub>10</sub>	
Каспийский пуццолановый портландцемент (КППЦ)	0,45	3 <sup>00</sup>	3 <sup>55</sup>	1,82	15,0	268	595	22
დამძიმებული საბურღი ხსნარების გამოდევნისათვის რეკომენდირებულია მაღალსიბლანტიანი ბუფერული სითხეების გამოყენება, რომელსაც შეუძლია დამამძიმებლის ტრანსპორტირება და იმის უზრუნველყოფა, რომ ეს უკანასკნელი არ ამოვარდეს დამძიმებული საბურღი და სატამპონაჟო ხსნარებიდან. მაღალსიბლანტიან ბუფერულ სითხეებს მიეკუთვნება ბუფერული სითხეები, რომელთა დინამიური სიბლანტე 0,01 Па.с-ზე მეტია. ეს არის ემულსიები, პოლიმერის ხსნარები, სპეცილურად დამუშავებული თიხის ხსნარები, ტიქსოტროპული სისტემები და ა.შ. მათ, როგორც წესი, გააჩნიათ დაბალი წყალგაცემა და კოროზიული აქტიობა. ძირითადი ნაკლი, რის გამოც ისინი ფართოდ არ გამოიყენება, არის რეცეპტურის დამუშავების სირთულე და სავლელ პირობებში მათი მომზადების შრომატევადობა.

ბურღვის პრაქტიკაში ბლანტი ბუფერული სითხეების ეფექტურობის ამაღლების მეთოდების სახით გამოიყენება მათი აერაცია და აბრაზიული დანამატების შეყვანა.

ბლანტი ბუფერული სითხეების საერთო ნაკლია – უნარი, წარმოქმნან ჰემოგენური ნარევი, ე.ი., ქიმიურად ურთიერთქმედებენ კონტაქტურ საბურღ და სატამპონაჟო ხსნარებთან. ეს ზღუდავს ბევრი ცნობილი რეცეპტურის გამოყენების არეს, ხდის მას გამოსაყენებლად მხოლოდ გარკვეული ტიპის საბურღ და სატამპონაჟო ხსნარების გასაყოფად, აუცილებლად კონტაქტური ზონების ლაბორატორიული შემოწმებით, დაცემენტების ყოველი პროცესის წინ.

გამოიყენება აგრეთვე ბლანტდრეკადი ბუფერული სითხეები (ВУБЖ). ისინი წარმოადგენენ მაღალმოლეკულურ კონცენტრირებულ ხსნარებს ან კომპოზიციებს მათ ფუძეზე. ВУБЖ–განსხვავდება ბლანტი ბუფერული სითხეებისგან იმით, რომ ძვრადობის დეფორმაციისას (დინება) მათ უჩნდებათ დრეკადი თვისებები, რომელთა გამოყენე-

ბა წარმოადგენს ინტერესს ჭაბურღილის დაცემენტების პროცესში საბურღი და სატამპონაჟო ხსნარების ნაკადის გამოყოფის დროს.

ჭაბურღილში მოძრაობისას ВУБЖ იმყოფება ე.წ. მაღალელასტიურ (რეზინისმსგავს) მდგომარეობაში, რომელიც ეწინააღმდეგება მათ შეკვრას საკონტაქტო სითხეებთან.

ВУБЖ-ის სიბლანტე გაცილებით აღემატება სტრუქტურირებული საბურღი ხსნარების სიბლანტეს, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტურად გააძეონ ეს უკანასკნელნი დინების დაბალი სიჩქარის დროს.

ბლანტ და ბლანტდრეკად ბუფერულ სითხეებს გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც შეიძლება ნაწილობრივ აღმოიფხვრას მათი ერთდროული გამოყენებით ე.წ. კომბინირებულ ბუფერულ სითხეებში (КБЖ), რომლებიც წარმოადგენენ ბლანტი და ბლანტდრეკადი კომპონენტების კომბინაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ ორი სხვადასხვაგვარი ბუფერული სითხიდან კომბინაციების გამოყენება იძლევა არა უბრალოდ ორი ეფექტის ჯამს თითოეული კომპონენტიდან, არამედ გააჩნია სინერგიული მოქმედებებიც. შედეგად КБЖ შეიძლება გამოყენებული იქნეს მცირე მოცულობებით დაცემენტებისას ყველაზე საპასუხისმგებლო და რთული ოპერაციების დროს.

დაცემენტების პროცესში ხდება ნარევეების მნიშვნელოვანი ზონების წარმოქმნა, რომელთა ეფექტური სიბლანტე შეიძლება უფრო მაღალი იყოს საწყისი კომპონენტების სიბლანტეზე. ამას მივყავართ გამჭირხნი წნევების დაუშვებელ ზრდასთან და როგორც შედეგი, სხვადასხვა გართულებებთან, როგორცაა ფენების ჰიდროგახლეჩა, სატამპონაჟო ხსნარის საპროექტო სიმაღლემდე ამოუსვლელიობა და ა.შ.

გამჭირხნი წნევის აწევის მიზეზი, განსაკუთრებით ზოგიერთ ჭაბურღილში, შეიძლება აგრეთვე გახდეს დამძიმებული საბურღი და სატამპონაჟო ნარევეებიდან დამამძიმებლების ამოვარდნა, მათი ზოგიერთი ტიპის ბუფერულ სითხეებთან შერევის დროს. ამიტომ მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომ ბუფერული სითხე იყოს ინდიფერენტული საბურღი და სატამპონაჟო ხსნარების მიმართ. ბუფერული სითხე არ უნდა იწვევდეს საკონტაქტო სითხეების კოაგულაციას, აგრეთვე არ უნდა ეხმარებოდეს დამამძიმებლების ამოვარდნას.

ბუფერული სითხის ინდიფერენტულობის განსაზღვრა საბურღი და სატამპონაჟო ხსნარების მიმართ ხორციელდება შემდეგი მეთოდით:

1. მზადდება ბუფერული ხსნარის ნარევეები საკონტაქტო ხსნარებთან შემდეგი თანაფარდობით: 1:9; 1:3; 1:1; 3:1; 9:1, თითოეული 300 მლ მოცულობით.
2. მათი არევა ხდება ლაბორატორიულ ამრევი 5 წთ-ის მანძილზე დაახლოებით 300 ბრუნის წთ-ში სიჩქარით.
3. АзНИИ-ს კონუსზე ფასდება ნერავის განღვრა, რომელიც არ უნდა იყოს 16 სმ-ზე ნაკლები.

16სმ-ზე ნაკლები განღვრის საბურღი და სატამპონაჟო ხსნარების გამოყენების დროს, მათი ნარევეების გამოყენებისას, მათი ნარევეების განღვრა ბუფერულ სითხესთან არ უნდა იყოს საწყისი კომპონენტების განღვრაზე ნაკლები.

ბუფერული სითხეების ნარევების სედიმენტაციური მდგრადობა საბურღი და სატამპონაჟო ხსნარებთან განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. მზადდება ბუფერული სითხეების ნარევები საბურღი და სატამპონაჟო ხსნარებით, თანაფარდობით 1:1, 800 მლ მოცულობით.
2. ქვემოთ მოყვანილი მეთოდიკის თანახმად, ხელსაწყოზე ИС-2 განისაზღვრება მათი სედიმენტაციური მდგრადობა, რომელიც არ უნდა იყოს 0,1 გ/სმ<sup>3</sup> – ზე ნაკლები 15 წთ დალექვისას.  
ცდას ატარებენ ორჯერ 20 და 80° C ტემპერატურის დროს.

მცნება ბლანტი ბუფერული სითხეები გულისხმობს დაბალსიბლანტიან და მაღალსიბლანტიან ბუფერულ სითხეებს. განვიხილოთ პირველი ტიპი.

ყველაზე გავრცელებული დაბალსიბლანტიანი ბუფერული სითხეა წყალი. მუდმივმა წნევამ დაცემენტების ხარისხის ასამაღლებლად გამოიწვია ის, რომ ბუფერული სითხის სახით იყენებენ წყლის სხვადასხვა ხსნარებს: მარილიანს, ტუტეს, მჟავას, ასე მაგალითად, მარილიანი ფენების გახსნისათვის იყენებენ NaCl და CaCl<sub>2</sub> ხსნარებს და სხვა. ამ ხსნარების სიმკვრივე აღწევს NaCl–ისათვის 1,2 გ/სმ<sup>3</sup>, CaCl<sub>2</sub>–სთვის 1,4 გ/სმ<sup>3</sup> და ა.შ.

ადრეული გამოკვლევებისგან განსხვავებით მოდელირდებოდა საბურღი ხსნარის აპკის გადარეცხვის პროცესი. ცდებს ატარებდნენ როტაციულ დანადგარებზე უმოძრაო შიდა ცილინდრით, რომელზეც დაჰქონდათ ადგეზიური თიხის აპკი და აფასებდნენ მისი გადარეცხვის ინტენსიობას სხვადასხვა ბუფერული სითხეებით, სხვადასხვა სიჩქარის დროს. ავტორების მიერ დადგენილია, რომ აპკის გადარეცხვისათვის, მაგალითად, სარიგიუხის ბენტონიტისგან, უმეტესი სარეცხი თვისებებით ხასიათდება 5%-იანი ნატრიუმის მწვავე ხსნარი, სულფონოლის ხსნარები და ОП-10. თუმცა ამ მეთოდიკით არჩეული ბუფერული სითხე სხვა მოედნებზე ჭაბურღილების დასაცემენტებლად, АКЦ–ს მონაცემებით, შესამჩნევად არ ახდენდა გავლენას გამაგრების ხარისხზე.

დაბალსიბლანტიანი ბუფერული სითხეების გამოყენება დამძიმებული საბურღი ხსნარების გამოდევნისათვის დაუშვებელია. ამიტომ ჭაბურღილების ბურღვის სიღრმის ზრდასთან და შედეგად, დამძიმებული საბურღი ხსნარების გამოყენებით ჭაბურღილების რეცხვის ზრდასთან, მწვავედ დადგა ბუფერული სითხეების რეცეპტურების დამუშავების საკითხი, რომელიც გამოიყენება ამ პირობებში. რეცეპტურები, შეკრებილი საწარმოების ლაბორატორიებში, როგორც წესი, ვერ პასუხობდნენ მათდამი წამოყენებულ უმეტეს მოთხოვნებს, მაგრამ საშუალებას იძლეოდნენ ავარიების გარეშე ჩატარებულიყო დაცემენტება. რატომაუნდა, ამ დროს საკითხი არ დგას დაცემენტების ხარისხზე. კოაგულაციური გამყარების თავიდან ასაცილებლად საბურღი და სატამპონაჟო ხსნარების კონტაქტის ზონაში ასხამდნენ 1–3 მ<sup>3</sup> წყალს, ან ცემენტის ასადუღაბებელ სითხეს, რომელიც ერეოდა კონტაქტში მყოფ ხსნარებს თხევადი სუსპენზიის წარმოქმნით და აჩქარებდა შემდგომ კოაგულაციას. თუმცა მრავალრიცხოვანი მონაცემები მოწმობენ, რომ ეს ხერხი, ამცირებს რა წნევის ზრდას, ვერ უზრუნველყოფს საბურღი ხსნარის ხარისხიან გამოდევნას. სითხეში დამამძიმებლის ამოვარდნის გამოსარიცხად, რომელიც ყოფს საბურღი და სატამპონაჟო ხსნარებს, შემოთავაზებული იყო 5–10% იანი ბენტონიტური ფხვნილის დამატება.

ცნობილია წყლით ან ამადულაბეხელი სითხით ცემენტის ხსნარის პორციის გათხევადების ხერხი, რაც აგრეთვე იძლევა საშუალებას არ წარმოიქმნას კოაგულაციური გამყარება საბურღ და სატამპონაჟო ხსნარებში. თუმცა ამ მეთოდის გამოყენება დაბალი სედიმენტაციური მდგრადობის ცემენტის ხსნარის გამოყენების დროს დაუშვებელია.

ბუფერული სითხის უნიფიკაციის მიზნით, ბევრ ნაშრომში რეკომენდირებულია ბუფერული სითხის ფუძედ გამოყენებული იქნეს შემანელებელი-გამათხევადებელი ნივთიერებები. ასეთ ბუფერულ სითხეებს მიეკუთვნება წყლის ხსნარები  $CCB$ ,  $KCCB$ ,  $\Phi XLC$  და სხვა. ისინი ინდიფერენტულები არიან სხვადასხვა საბურღი და სატამპონაჟო ხსნარებისადმი და შეიძლება იქნენ დამძიმებულნი, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხსნარებს, როგორც წესი, გააჩნიათ დაბალი სედიმენტაციური მდგრადობა და არიან რა გამყარების ვადების ძლიერი შემანელებლები, არ იძლევიან საშუალებას ცემენტის დიდ მოცულობებს წარმოქმნან მყარი ქვა.

დღესდღეობით ყველაზე ფართოდ გამოიყენება რეგულირებადი პარამეტრების მქონე ბუფერული სითხეები, რომლებიც საშუალებას იძლევა მიზანმიმართულად შეიცვალოს მათი სიბლანტე და სიმკვრივე. მათი გამოყენება შეიძლება როგორც დაბალსიბლანტიანი დაუმძიმებელი სახით (გაყვანის მაღალი სიჩქარეების დროს), ასევე გადასასვლელი პარამეტრებით (დაცემენტების დაბალი სიჩქარის დროს).

რეგულირებადი პარამეტრებით ბუფერული სითხეების მთელი კლასიდან, ყველაზე ფართოდ აპრობირებულია პირდაპირი და შექცევადი ემულსიები.

გამოყენება ჰპოვა ე.წ. პოლიმერულმა ბუფერულმა სითხეებმაც, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა პოლიმერების მაღალსიბლანტიან წყლიან ხსნარებს, ისეთებს როგორც არის  $KMII$ ,  $MI$ , სახამებელი, გიპანი და სხვა. თუმცა უფრო დაწვრილებით განხილვისას ყველა მათგანს გააჩნია ნაკლოვანებები, ასე, მაგალითად, გიპანის გამოყენების დროს არ შეიძლება დაუშვათ, რომ ხსნარი შეიცავდეს  $0,3\%$ -ზე მეტ კალციუმის და მაგნიუმის იონებს;  $KMII$ ,  $MI$  და  $MMII$  გამოყენებისას მაღალი ტემპერატურის დროს, ბევრ სატამპონაჟო და საბურღ ხსნარებში ხდება კოაგულაცია. ეს იწვევს დაცემენტების ყოველი პროცესის წინ სავალდებულო ლაბორატორიული შემოწმების აუცილებლობას სანგრევის კონკრეტული ტემპერატურებისა და წნევების დროს. ასეთი სითხეების საერთო ნაკლია პოლიმერების ძვირადღირებული კონცენტრირებული ხსნარების გამოყენების აუცილებლობა.

დამუშავებულია ბუფერული სითხე თხევადი მინის ფუძეზე  $KMII$ -ს, ოქზილის, ალუმინ გოგირდმჟავასა და მჟავას დანამატებით. პროფესორ გ. ვარშალომიძის მონაცემებით ამ სისტემამ ღრმა ჭაბურღილების დაცემენტებისას წარმატებით გაიარა გამოცდა. თუმცა მისი მომზადება ძალიან რთულია და რეცეპტურა ყოველი დაცემენტების წინ საჭიროებს კორექტურას.

### 3. დასკვნა

ბუფერული სითხის ძირითადი დანიშნულებაა არ დაუშვას საბურღი და ცემენტის ხსნარების შერევა, აგრეთვე გაასუფთაოს ჭაბურღილის კედლები და სრულად მოახ-

დინოს ერთი ხსნარის ჩანაცვლება მეორეთი. ბუფერული სითხის გამოყენება და საჭიროება უდაოა, მაგრამ მისი გამოყენების ეფექტი დამოკიდებულია მისი სწორი შერჩევით ყოველი კონკრეტული პირობებისათვის.

### ლიტერატურა

1. Варшаломидзе Г.Х. Основы технологии обработки буровых и цементны растворов. Тбилиси, 2011 г.
2. Булатов А.И. Тампонажные материалы и технология цементирования скважин. М.: Недра, 1982 г.
3. Булатов А.И. Технология цементирования нефтяных и газовых скважин. М.: Недра, 1973 г.

შპს 669.1.017: 621.774.35

ო. ბარბაქაძე, ვ. კოპალეიშვილი, მ. ბარათაშვილი,  
რ. ლომიძე, რ. ბაქრაძე, გ. ფუტყარაძე

## თუჯების სფეროიდიზაციის ხერხები და მოწყობილობები

**რეზიუმე:** წარმოდგენილია თუჯებში გრაფიტის სფერული ფორმის მიღება ძირითადი მოდიფიკატორის Mg გამოყენებით და მოდიფიცირებასთან დაკავშირებული პრობლემები. გაკეთებულია Mg-ით, Ce-ით, Ca-ით მოდიფიცირების შედარებითი ანალიზი. განხილულია ლიტერატურაში არსებული თუჯების გრაფიტის სფეროიდიზაციის მოწყობილობები და მოცემულია მათი შედარებითი ანალიზი. ბოლოს მოცემულია ავტორთა მიერ შემუშავებული ორი ახალი ციციხვის კონსტრუქცია და დასაბუთებულია, არსებული ციციხვების კონსტრუქციის შეცვლის აუცილებლობა შემოთავაზებული უნივერსალური კონსტრუქციით, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ მართვადი გახდეს მთელი ტექნოლოგიური პროცესი, რითაც საგრძნობლად გაიზარდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ამასთან, შემოთავაზებული ციციხვი არ საჭიროებს არსებული ციციხვების რაიმე მნიშვნელოვან კონსტრუქციულ ცვლილებას.

**საკვანძო სიტყვები:** სფერულგრაფიკიანი თუჯი, სფეროიდიზაციის წინა ინოკულაცია, დესულფურაცია, სფეროიდიზაციის შემდგომი ინოკულაცია, ბეინიტი, Mg-ით მოდიფიცირება, Cu-Mg-Si-Ca-Al ლიგატურა; Tundish-პროცესი: TRIP-ეფექტები; Sandwich-მეთოდი; ფულერენული იდეოლოგია.

### 1. შესავალი



ო. ბარბაქაძე,  
დოქტორანტი

მიუხედავად იმისა, რომ სფერულგრაფიტიანი თუჯების მიღებიდან უკვე გასულია 60 წელზე მეტი, მაინც ამ პრობლემურ საკითხს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. თითქმის ერთხმად არის აღიარებული, რომ გრაფიტის ფორმა (ფირფიტოვანი, ვერმიკულარული, ფიფქისებური - მოწვის, სფერული და სხვა) მარცხიდან მარჯვნივ აკეთილშობილებს თუჯის თვისებებს.

გრაფიტის სფერული ფორმა ამ მხრივ ყველაზე მეტად მისაღები ფორმაა. როგორც ხშირად ხდება, პრაქტიკა-ექსპერიმენტული შედეგები წინ უსწრებდა ამ დარგში თეორიულს, რის გამოც სადისკუსიო არა მარტო გრაფიტის სფერული ფორმის მიღება, არამედ გრაფიტიზაციის საკითხებიც. აღნიშნულის კარგი მაგალითია მაურერის სტრუქტურული დიაგრამა და მომდევნო მსგავსი დიაგრამები. ნახშირბადისა და სილიციუმის რაოდენობის ცვლილებით მან შეძლო სტაბილურად მიეღო პერლიტური, ფერიტ-პერლიტური, ფერიტული სტრუქტურების მქონე რუხი თუჯი ფირფიტოვანი გრაფიტული ჩანართებით. რა თქმა უნდა, კინეტიკის საკითხებს მაურერი აკონტროლებდა სხმულების



ვ. კოპალეიშვილი,  
საინჟინრო აკადემიის  
აკადემიკოსი, „სამსხმელო წარმოებისა და ახალი ტექნოლოგიების პროცესების“ მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, .

მეცნიერება

მეტალურგია

SCIENCE



მ. ბარათაშვილი,  
დოქტორანტი

სისქის მიხედვით. ჩვენ ამ პრობლემულ საკითხებთან დაკავშირებით, საკუთარი და არსებული ექსპერიმენტული შედეგების სისტემატურმა ანალიზმა მიგვიყვანა მეცნიერულ ჰიპოთეზამდე, რომ რკინაში და ბენიტური კლასის Fe-C შენადნობებში არსებობს „სილიციუმის ზღურბლი“ ( $Si \geq 0,50\%$ ). ამ ჰიპოთეზის არა მარტო ახლებურად იხსნებოდა მრავალი არსებული პროცესი (გრაფიტიზაციის, შედუღება-დადუღების, ფლოკენების წარმო-




რ. ლომიძე,  
რუსთავის ფოლადი რმქ მთავარი ინჟინერი

ქმნის, ლითონების ტემპერატურული გამყიფების, მაღალი სიმტკიცის მიღების, განგოგირდების განსხვავებული ხასიათი თუჯებში და ფოლადებში და სხვა), არამედ შეიქმნა პირობები ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებისათვის (მაგალითად: „წყალბადის დამაგროვებელი შენადნობები რკინის ფუძეზე“).



რ. ბაქრაძე,  
რუსთავის ფოლადი რმქ მთავარი მექანიკოსი

ცნობილია (პოსტილირებულია) რა პირობები უნდა იყოს დაცული, რომ სტაბილურად იქნეს მიღებული გრაფიტის სფერული ფორმა (ცუდ შემთხვევაში გრაფიტის კერმიკულარული ფორმა მაინც). აღნიშნულ საკიტხებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და შეაქვეს ნახშირბადის ახალ ალოტროპულ ცვლილებას - ფულერენს. ახალი მიდგომით იმისათვის, რომ წარმოიქმნას გრაფიტის სფერული ფორმა საჭიროა გადახურებით ( $t_{გაბ} \geq 1550^{\circ}C$ ) არსებული გრაფიტის კრისტალები დაიშალოს ნახშირბადის ატომებად და შემდგომი სწრაფი გაცივებით სფერული ფორმის მქონე ფულერენის კრისტალების წარმოქმნით დავაფიქსიროთ გრაფიტის სფერული ფორმა, თუმცა ტრადიციულთან შედარებით, უფრო დისპერსიული. ჩვენი წინასწარი ექსპერიმენტების მიხედვით აღნიშნული მოდელი კარგად ასახავს რეალობას.



გ. ფუტყარაძე,  
რუსთავის ფოლადი რმქ საფასონო საჩამომ-სხმელო სამექროს უფროსი

განვლილმა პერიოდმა ცალსახად გვიჩვენა, რომ არსებული ამოცანების ამოხსნა გარკვეულად ადვილდება თუ ტექნიკური საშუალებების მოდერნიზაცია განხორციელდება ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფასთან ერთად. აღნიშნულის კარგი მაგალითია ციხვების ახალი კონსტრუქციები ახალ ტექნოლოგიურ პროცესებთან ერთად.

## 2. ძირითადი ნაწილი

სფერულგრაფიტის თუჯის სხმულების ნამზადზე მზარდი მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს, ერთის მხრივ, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას და მეორე მხრივ, საწარმოო ხერხებისა და მოწყობილობების მუდმივ განახლებასა და



დახვეწას, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიცავს მართვად პროცესებს, რომელთა ერთობლიობა ჯამში განსაზღვრავს აღნიშნული თუჯების საბოლოო ხარისხს. ეს პროცესებია სფეროიდიზაციის წინა და შემდგომი ინოკულაცია, დესულფურაცია, ყოველივე ეს იმით დაიწყო, რომ 20-იანი წლების ბოლოს აუსტენიტის იზოთერმული გარდაქმნის შესწავლისას დავენპორტმა და ბეინმა აღმოაჩინეს ნემსისებრი აგებულების ახალი მიკროსტრუქტურა, რომელიც განსხვავდებოდა პერლიტისა და მარტენსიტისაგან, ამასთან გააჩნდა მეტად საჭირო პერსპექტიული თვისებები. კერძოდ, მისი პლასტიკურობა მეტი იყო, ვიდრე მოშვებული მარტენსიტისა. მას ბეინის საპატივსაცემოდ ბეინიტი ეწოდა. ამავე საუკუნის 50-იან წლებში მეტალურგები ეუფლებიან გრაფიტის სფერული ფორმის მიღებას, ე.ი. შეიქმნა „ВЧ“- „Высокопрочный чугун“-„მაღალი სიმტკიცის თუჯი“, სხვა რედაქციით DI-„Ductile Iron“- „პლასტიკური თუჯი“. XX საუკუნის მეორე ნახევარში იქმნება პლასტიკურობის, როგორც მდგომარეობის გაზრდის ახალი გზები ე.წ. TRIP ეფექტების (TRIP-Transformation-Induced Plasticity) გამოყენებით (ფაზური გარდაქმნით განპირობებული პლასტიკურობა). XX საუკუნის ბოლოს, მსოფლიო არენაზე გამოჩნდა გრაფიტის სფერული ფორმის მიღების ახალი მიმართულება ფულერენული იდეოლოგიის გამოყენებით. ამ მოვლენებმა ბეინიტური თუჯი (ADI- „Austempered Ductile Iron“-„ბეინიტზე ნაწრთობი პლასტიკური თუჯი“ და ბეინიტური კლასის თუჯი) თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ საკონსტრუქციო მასალად აქცია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე საგრძნობლად შემცირდა თუჯებთან დაკავშირებული პუბლიკაციების რაოდენობა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ მასალით უკვე სერიოზულად დაინტერესდნენ სამხედრო წარმოებები, რამაც გამოიწვია შესრულებული სამუშაოების ღია პუბლიკაციების შეზღუდვა.

მიუხედავად ასეთი ძვრებისა, თუჯების წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში სტაბილურად გრაფიტის სფერული ფორმის მიღება ერთ-ერთ ბოლომდე გადაუწყვეტელ რგოლად რჩება. აღნიშნულის გამო, ჩვენი კვლევის საგანს, სხვა საკითხებთან ერთად, ეს პროცესები წარმოადგენს.

თუჯში გრაფიტის სფერული ფორმის მიღება უფრო ხშირად წარმოებს Mg-ის გამოყენებით. ლითონური Mg-ით მოდიფიცირება მიმდინარეობს პიროფექტით, დიდი რაოდენობით ბოლის გამოყოფითა და ლითონური მასის ამოფრქვევით, ამიტომ მისი ლითონური სახით თუჯის ნადნობში შეყვანა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორთან, რის გამოც იგი შეიყვანება სხვადასხვა სახის (Ni-Mg; Cu-Mg...) ლიგატურის გამოყენებით, ლიგატურებში Mg-ის შემცველობა იცვლება 6-12%-ის ფარგლებში.

Mg ქიმიურად აქტიური ელემენტია, ეს დასტურდება ელექტრონულ გარსებზე ელექტრონების განაწილებითა ( $^{12}\text{Mg}-1\text{S}^22\text{S}^22\text{P}^63\text{S}^23\text{P}^0_{(6)}3\text{d}^0_{(10)}$ ) და არსებული ექსპერიმენტული მონაცემებით. მაგნიუმის დნობის ტემპერატურა  $t_{\text{დნობის}}=651^{\circ}\text{C}$ , ხოლო  $t_{\text{დუღილი}}=1107^{\circ}\text{C}$ , ამიტომ თუჯებში მისი შეყვანისთანავე ორთქლად იქცევა ბუშტების წარმოქმნით, რის შედეგადაც მისი ქიმიური აქტიურობა კიდევ უფრო იზრდება, ამიტომ იგი რეაქციაში შედის თუჯში არსებულ აირებთან: CO; S; H; N და O-თან და, ამდენად, ამცირებს მათ რაოდენობას. დადგენილია, რომ სფერული ფორმის გრაფიტი თუჯებში

წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც Mg-ის ნარჩენი რაოდენობა არის არა ნაკლები 0,03-0,06%-ისა, ხოლო გოგირდისა კი <0,02%.

Mg-ით თუჯების მოდიფიცირებისას ერთდროულად მიმდინარეობს განგოგირდება, დეგაზაცია და სხვა პროცესები, ამიტომ მოდიფიკატორის საჭირო წონა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$Mg = (0,04 - 0,1) + 0,76(S_{\text{დ}} - S_{\text{ს}}) / A,$$


სადაც  $S_{\text{დ}}$ ;  $S_{\text{ს}}$  გოგირდის საწყისი და საბოლოო შემცველობაა, ხოლო

$A$  – Mg-ის ათვისების კოეფიციენტი.

სასურველია, თუ თუჯის Mg-ით მოდიფიცირებისას დამატებით დავუბერავთ აზოტსაც, რაც საშუალებას იძლევა Mg-ის ხარჯი 20-25%-მდე შემცირდეს, ამასთან იზრდება თუჯის მექანიკური თვისებებიც.

ცერიუმი Ce მაღალ ტემპერატურებზე ამჟღავნებს მაღალ ქიმიურ აქტიურობას, და ერთი მხრივ, შთანთქავს და ანეიტრალებს თუჯებში შემავალ არალითონურ და მიკროჩანართებს: O; N; P; H და სხვა. მეორე მხრივ, ეფექტურად ანეიტრალებს დემამოდიფიცირებელ ელემენტებს (Sn; Ti; Sb; Bi; Cu; Al და სხვა). ამასთან, თუ თუჯის ნადნობში შეყვანილი იქნება Ce-ის საკმარისი რაოდენობა იმისათვის, რომ S-ის შემცველობა 0,02%-მდე შემცირდეს, ხოლო ნარჩენი  $Ce > 0,02\%$ , მაშინ მიიღება გრაფიტის სფერული ფორმა, ე.ი. Ce, როგორც Mg თუჯებში წარმოადგენს გრაფიტის სფეროიდიზატორს, რის გამოც მათ გააჩნია საერთო მახასიათებლები, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნადაც განსხვავდებიან. კერძოდ, Mg-ს დესულფურაციის უნარი უფრო ძლიერი აქვს Ce-თან შედარებით, ხოლო სტაბილიზირების უნარი, პირიქით, Mg-ს უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე Ce-ს. Ce-ის უარყოფით მხარეა ის, რომ მისი ფასი 5-ჯერ მეტია, ვიდრე Mg-ის.

Ca-ით ლეგირება უზრუნველყოფს ერთი მხრივ, თხევადი თუჯისა და სფეროიდიზატორის, კერძოდ Mg-ის, ურთიერთქმედების სიჩქარის რეგულირებას, რის ხარჯზეც იზრდება მისი ათვისების ხარისხი. მეორე მხრივ, Ca ხელს უწყობს S-ის შემცირებას, ე.ი. აუმჯობესებს Mg-ის სფეროიდიზატორის უნარს და Ca, როგორც დამოუკიდებელი სფეროიდიზატორი, აძლიერებს Mg-ის ურთიერთქმედებას გრაფიტთან, სფეროსებრი გრაფიტის ცენტრების ჩასახვითა და წარმოქმნით.



ფიგ. 1


სილიციუმი ნახშირბადთან და გაცივების სიჩქარესთან ერთად გრაფიტიზაციის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორია. მოწვის დროს ამარტივებს ფერიტული სტრუქტურის მიღებას, ხელს უწყობს პლასტიკურობისა და დარტყმითი სიბლანტის გაზრდას. მისი ახალი ულუფების არსებობა, მოდიფიცირების წინ და შემდეგ, ხელს უწყობს რკინის პასიურ მდგომარეობაში შენარჩუნებას, რითაც ააქტიურებს და შედეგადად ხდის მოდიფიკატორების (Mg, Ce, Ca და სხვა) მოქმედებას. სფერულგრაფიტის თუჯების წარმოებაში ცნობილია სფეროიდიზაციის მრავალი ხერხი და მოწყობილობა. Fe-Si-Mg-ის ლიგატურა თუჯში შეკ-

ყავთ უპირატესად Sandwich მეთოდით, რომელიც კიდევ უფრო იხვეწება Tundish პროცესში [1-2], რომლის ციცხვის კონსტრუქციაც მოცემულია 1-ლ ფიგ-ზე. იგი შედგება სპეციალური სახურავისაგან 3, რომელიც დადგმულია ციცხვზე. ლიგატურას 1 წინასწარ ტვირთავენ კონუსური ხვრელიდან 2, რომელიც თავსდება ქვედის ჯიბეში. ხვრელი 2 ჩამოსხმის წინ დაცულია საცობით. თხევად ლითონს ციცხვში ასხამენ ხვრელიდან 4. პროცესი მიმდინარეობს პიროფექტის, ბოლისა და ლითონური მასის გამოფრქვევის გარეშე.


როგორც მოდიფიცირების გამოცდილებამ აჩვენა, სახურავიან ციცხვებში მოდიფიცირებისას თბური კარგვები გაცილებით დაბალია ღია ციცხვში დამუშავებასთან შედარებით, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს თუჯის სფეროიდიზაციის საწყისი ტემპერატურა 1530°C-დან 1500°C-მდე, ჩამოსხმის ტემპერატურის შეუცვლელად, რითაც ასევე მცირდება ელექტროენერჯის ხარჯი. Tundish პროცესის დროს ციცხვის შიგა სივრცეში იზრდება პარტიანული წნევაც, რაც ხელს უშლის Mg-ის აორთქლებას, რითაც დამატებით იზრდება 1,5%-ით Mg-ის ათვისება.

ზოგიერთ ქვეყანაში თუჯის მოდიფიცირებისათვის იყენებენ სპეციალურ მოედნებს, აღჭურვილს პლატფორმებით, თუჯისა და ლიგატურის ზუსტად ასაწონად და შემდგომი ზუსტი დოზირებისათვის, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს ლიგატურის ხარჯი და მოხდეს პროცესის სტაბილიზაცია. მოდიფიცირების შემდეგ თუჯს ასხამენ ჩამოსასხმელ ციცხვში, სადაც შენადნობს უტარდება სფეროიდიზაციის შემდგომი ინოკულაცია, რის შემდეგაც ხდება მისი უშუალოდ ყალიბში ჩამოსხმა.


ჩამოსასხმელი ციცხვების შემდგომი განვითარების შედეგად შეიქმნა Tea-Pot ხერხი [1-3] (ფიგ. 2), რომლის საფუძველს წარმოადგენს ჩაიდნის ფორმის ციცხვი მუდმივი სახურავით. ციცხვი შეიცავს სიფონურ არხს, შესრულებულს შამოტის მილით 1, ჩაიდნის ფორმის ცხვირით 2, თუჯის სახურავით 3, ლიგატურის ბუნკერით 4, ჩამკეტით 5, ჯახრაკით 6, ციცხვის ამონაგით 7, ლიგატურით 8. ცნობილია, აღწერილი ციცხვის მსგავსი კონსტრუქციაც [1-3] (ფიგ. 3), რომელიც წინა კონსტრუქციისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ აქვს გაყოფილი ჩამოსასხმელი სიფონი 4, ლიგატურის მისაწოდებელი ჭრილი საცობით 3 და ლიგატურის მიმღები 5.



ფიგ. 2




ფიგ. 3



ფიგ. 4

Mg-ის ათვისების გაზრდისა და, შესაბამისად Fe-Si-Mg-ის ლიგატურის ხარჯის, პიროფექტისა და ბოლის გამოყოფის შემცირების მიზნით, შემუშავებულ იქნა Tip პროცესი [4], რომელსაც საფუძვლად უდევს თუჯის ლიგატურით დამუშავება სპეციალიზებულ ცილინდრულ ციხვებში (ფიგ. 4). იგი შედგება თუჯის მისაღები ყელისაგან 4, ლიგატურის კამერისაგან 5, რომელიც ციხვის შიგა მოცულობისაგან გამოყოფილია გრაფიტული ტიხრით 6, თავსახურით 2, სიფონით 1, რომელიც განკუთვნილია თუჯის მოდიფიცირების შემდეგ ყალიბში ჩამოსხმისათვის, ციხვის მოსაბრუნებელი პოჭოჭიკით 3 და დასადგმელი საყრდენებით 7. ლიგატურის ჩატვირთვის შემდეგ ციხვს აბრუნებენ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, მასში ასხამენ თუჯს გრაფიტული ტიხრის 6 რამდენადმე ქვედონემდე და ახურავენ თავსახურს 2. შემდეგ აბრუნებენ ვერტიკალურ მდგომარეობაში, რომლის დროსაც თუჯი მთლიანად ფარავს ლიგატურას და შედის მასთან კონტაქტში, რის შედეგადაც მიმდინარეობს მოდიფიცირება, რომლის დამთავრების შემდეგ ციხვს კვლავ აბრუნებენ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ამის შემდეგ ხსნიან წიდას და სიფონის 1 საშუალებით ახდენენ თუჯის ჩამოსხმას ყალიბებში, ამ მეთოდით მოდიფიცირება გრძელდება 3 წთ. Mg-ის ათვისება 60-70%-ია, პიროფექტისა და გაზების გამოყოფის გარეშე.




ფიგ. 5

არსებობს მრავალი კონსტრუქცია Mg-ის შესაყვანად გამდნარ თუჯში, იძულებითი მეთოდის გამოყენებით, რომელთაგან ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა კონსტრუქცია [5], ფიგ. 5. იგი შედგება ამართქლებლისაგან, რომელიც ღერძზე 1 დამაგრებული შესრულებულია ორი ერთმანეთში ჩადგმული მოცულობისაგან შედგება, რითაც შექმნილია რკალური ღიობი 2. გარე მოცულობა 3 ღიაა. ქვემოდან, რომელსაც გააჩნია ერთნაირი დიამეტრის ნახვრეტები აქვს 4, ხოლო შიგა მოცულობა 5 ღიაა ზემოდან, რომლის ქვემოთა ნაწილიც შესრულებულია ანალოგიური დიამეტრის ნახვრეტით 6 და დახურულია ჩამკეტით 7 და ჭოკის 8 საშუალებით დაკავშირებულია სარეგულირო და ნადგართან 9, რითაც რეგულირდება Mg-ის ორთქლის მიწოდება. ის თუჯის ნადნობს მიეწოდება

წვრილი ბუმტების სახით, რაც უზრუნველყოფს Mg-ის ათვისების კოეფიციენტის რეგულირებას დიდ დიაპაზონში და გამოშვებული ნამზადის ხარისხის გაზრდას ცნობილ მოწყობილობებთან შედარებით, ამასთან პიროფექტი და გაზების გამოყოფა არ შეინიშნება.

საფუძვლიანადაა გამოკვლეული და მიმდინარეობს თუჯის ნადნობში Mg-ის შეყვანა ფოლადის გარსაცმში ჩასმული მავთულის სახით. დადგენილია [6] რომ, მოდიფიცირების ოპტიმალური შედეგები მიიღწევა მაშინ, როდესაც მავთულის დიამეტრია 3,2მმ და ფოლადის გარსაცმის სისქე კი-1,1მმ, ამასთან პროცესი მიმდინარეობს 1450-


1480 °C-ზე 77-156წმ-ის განმავლობაში, ხოლო მავთულის მიწოდების სიჩქარეა 60-120მ/წთ. თუჯის ამ მეთოდით დამუშავებისას ციკხვიდან ბოლი, პიროფექტი და ლითონის ამოფრქვევა არ შეინიშნება.



ფიგ. 6.

მელიც უზრუნველყოფს Mg-ის ლიგატურის მიწოდებას უშუალოდ ყალიბში ჩამოსხმისას (ფიგ. 6). ის შედგება ლიგატურით 4 შევსებული ბუნკერისაგან 3, მიმმართველი ძაბრისაგან 2, ჩამკეტისაგან 7, ხვრელისაგან 5, სასხმელი ჯამისა 6 და გამდნარი თუჯისაგან 1. ამ დანადგარს, უდავოდ დიდ სარგებლობასთან ერთად, აქვს ზოგიერთი ნაკლი. კერძოდ, ის მოუხერხებელია ექსპლუატაციის დროს. ვერ ხერხდება ლიგატურის მიწოდების რეგულირება და, შესაბამისად, მიწოდების სიზუსტე, რაც იწვევს მის ზედმეტ ხარჯვას. დაბალია სხმულების ხარისხი. მოუხერხებელია ასევე მისი გამოყენება სხვადასხვა ყალიბში ჩამოსხმისას.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ციკხვი [7], (ფიგ. 7), რომელიც შედგება კორპუსისაგან 1, თავსახურისაგან 2, ჩამოსასხმელი ცხვირისაგან 3, რომელზეც სახსრულად დამაგრებულია ტელესკოპური მილყელი 4, 5 რომელიც ბოლოვდება კონუსური ბუნკერით 6, ციკხვის კედელზე მყისადაა დამაგრებული ავზაკი 7, რომელიც შესრულებულია თბოსაიზოლიაციო მასალისაგან, გააჩნია ჩასატვირთი სარქველი 8, სახურავი 9 და გამოსაშვები სარქველი 10,




ფიგ. 7.

შემუშავებულ იქნა ლიგატურის ნადნობში შეყვანა უშუალოდ ყალიბში ჩამოსხმისას [1], სადაც ლიგატურა მიწოდება სადებების სახით, რომლებიც შესრულებულია დაწნეხილი ფხვნილით. იგი თავსდება ყალიბში ისე, რომ ნადნობი მას გარს ევლება ჯერ ერთი, შემდეგ მეორე მხრიდან, რითაც მიიღწევა ლიგატურის მთლიანი გახსნა და თანაბარი განაწილება სხმულის მთელ განივკვეთში. ამასთან, აღნიშნული პროცესი ამცირებს წუნის პროცენტულ რაოდენობას.

ცნობილია დანადგარი [1], რო-

რომელიც ვენტილისა 11 და დრეკადი მილის 12 საშუალებით დაკავშირებულია კონუსურ ბუნკერთან 6.

ციცხვი მუშაობს შემდეგნაირად: წინასწარ ლიგატურით ავსებენ ავზაკს 7, შემდეგ ციცხვში ასხამენ გამდნარ თუჯს, ხდება მისი ტრანსპორტირება ყალიბებამდე, სადაც ყალიბის ლითონის მიმდებარე კონუსურ ბუნკერს 6 და ახდენენ ციცხვის გადმოტორიალებას, საიდანაც გადმოედინება გამდნარი ლითონი, ხოლო ავზაკიდან 7 ჩამოიყრება მოდიფიკატორი. ხდება მათი შერევა და შერეული ნარევი ჩაედინება უშუალოდ ყალიბში, რის შემდეგ მიმდინარეობს დაკრისტალება. არსებულ ციცხვებთან შედარებით, გააჩნია შემდეგი ეფექტურობა: უზრუნველყოფს ლიგატურის მიწოდების რეგულირებას დიდ დიაპაზონში, მისი ათვისების კოეფიციენტის და მოხერხებულობის გაზრდას, ლიგატურის ზედმეტი ხარჯის შემცირებას, ამასთან ტექნოლოგიური პროცესის სრულ დაცვასა და, როგორც შედეგი, თუჯის ჩამოსხმის ტემპერატურის შემცირებასა და სხმულის ხარისხის გაზრდას. ციცხვის კონსტრუქციაზე შემდგომი მუშაობით ჩვენ მიერ შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ციცხვის კონსტრუქცია [8], რომელიც წარმოდგენილია მე-8 ფიგ-ზე. იგი შედგება კორპუსისაგან 1, რომლის ძირზე მოთავსებულია ტიხარი 2, რომელიც წარმოქმნის მოდიფიკატორების 3 და გასაქრევი აირების მიმდებარე 4. ტიხარზე 2 თავისუფლად მოთავსებულია სახურავი რომელიც ორი ერთმანეთზე განლაგებული ცეცხლგამძლე ფირფიტაა 5 და 6 შესრულებულია მთელ ზედაპირზე ერთმანეთის თანხვედრი ნახვრეტებით 7 და 8. ზემოთა ფირფიტა 5 მთელ პერიმეტრზე მომრგვალებულია 9, რომელიც იმეორებს ტიხრის გარეთა კონტურს, ხოლო ქვემოთა 6 – 2 შიგას. ზემოთა ფურცელი 5 მილის 10 საშუალებით უძრავადაა დამაგრებული ჯვრისებრ საყრდენზე 11, რომელიც, თავის მხრივ, თავისუფლადაა დადგმული კორპუსზე 1 და ბოლოში მომრგვალებულია 12, რომლითაც იგი ფიქსირდება კორპუსის 1 ზემოთა წიბოზე. ფირფიტის 6 ცენტრში, მისი სიბრტყის პერპენდიკულარულად მყისადაა დამაგრებული მილში 10 გამავალი გამჭოლი მილისებრი ღერო 13, რომელიც ჯვრისებრ საყრდენზე 11 დაფიქსირებულია დამჭერით 14 და ბოლოვდება რიმქანჭიკით 15. მილისებრი ღერო 13 ვენტილისა 16 და დრეკადი ცეცხლგამძლე მილის 17 საშუალებით დაკავშირებულია გასაქრევი აირის წყაროსთან (ნახაზზე ნაჩვენები არ არის). რიმქანჭიკსა 15 და დამჭერს 14 შორის ღეროზე 13, მის პერპენდიკულარულად, მყისადაა დამაგრებული სახელური 18. ამასთან, სახელური 18, რიმქანჭიკი 15, დამჭერი 14, ღერო



ფიგ. 8.

ტრში, მისი სიბრტყის პერპენდიკულარულად მყისადაა დამაგრებული მილში 10 გამავალი გამჭოლი მილისებრი ღერო 13, რომელიც ჯვრისებრ საყრდენზე 11 დაფიქსირებულია დამჭერით 14 და ბოლოვდება რიმქანჭიკით 15. მილისებრი ღერო 13 ვენტილისა 16 და დრეკადი ცეცხლგამძლე მილის 17 საშუალებით დაკავშირებულია გასაქრევი აირის წყაროსთან (ნახაზზე ნაჩვენები არ არის). რიმქანჭიკსა 15 და დამჭერს 14 შორის ღეროზე 13, მის პერპენდიკულარულად, მყისადაა დამაგრებული სახელური 18. ამასთან, სახელური 18, რიმქანჭიკი 15, დამჭერი 14, ღერო

13, ჯვრისებრი საყრდენი 11, მილი 10, ფურცლები 5 და 6 ერთიანი დინამიკური სისტემაა.

ციცხვი მუშაობს შემდეგნაირად: როდესაც საჭიროა ციცხვის გამოყენება მხოლოდ მოდიფიცირებისათვის, მაშინ წინასწარ მოდიფიკატორის მიმღებში 4 ათავსებენ განსაზღვრული რაოდენობის მოდიფიკატორს 3 და ამწის დახმარებით ახურავენ სახურავს. ამასთან, ფირფიტები 5 და 6 განლაგებულია ერთმანეთის მიმართ ისე, რომ ნახვრეტები 7 და 8 გადაფარულია. შემდეგ ციცხვში ასხამენ გამდნარ ნადნობს, რომელიც გაადნობს და ააოთრქლებს მოდიფიკატორს 3, რის შედეგადაც მოდიფიკატორის მიმღებში 4 დაგროვდება წარმოქმნილი ორთქლი. შემდეგ ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნის შესაბამისად სახელურის 18 საშუალებით ხდება ფირფიტის 6 შემობრუნება უძრავი ფირფიტის 5 მიმართ ისე, რომ მოხდეს ნახვრეტების 7 და 8 თანდათანობით დამთხვევა, რის შედეგადაც მოდიფიკატორის მიმღებიდან იწარმოებს 4 მოდიფიკატორის ორთქლის ბუშტების გამოსვლა ნადნობში და შემდგომი განხნევა. აღნიშნული პროცესი რეგულირდება სახელურის 18 შემობრუნების კუთხის ცვლილებით. პროცესი გაგრძელდება წარმოქმნილი ორთქლის სრულ ამოფრქვევამდე, რითაც მოდიფიცირების პროცესი მთავრდება. როდესაც საჭიროა ციცხვის გამოყენება მხოლოდ აირების გაქრევისათვის, მაშინ წინასწარ იღება ვენტილი 16, რის მეშვეობითაც გასაქრევი აირი მიეწოდება მოდიფიკატორის მიმღებში, შემდეგ კი, ზემოთ აღნიშნულის ანალოგიურად, მიეწოდება ნადნობს. შესაძლებელია ამ პროცესების სინქრონული მიმდინარეობაც, რომელთა დამთავრების შემდეგ, ამწის საშუალებით, ხდება სახურავის ამოღება და ცნობილი მეთოდით განახორციელებენ ნადნობის ყალიბში ჩამოსხმას. ამის შემდეგ პროცესი მეორდება.

შემოთავაზებული ციცხვით შესაძლებელია შემცირდეს მოსამზადებელი სამუშაოების დრო, ნადნობში მოდიფიკატორის ორთქლისა და გასაქრევი აირების მიწოდების ინტენსიურობის რეგულირება ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისად, რაც გაზრდის ათვისების კოეფიციენტებისა და მათ თანაბარ განაწილებას ნადნობის მთელ მიცულობაში, რითაც საბოლოო ჯამში გაიზრდება გამოშვებული ნამზადის ხარისხი, თავიდან იქნება აცილებული პირობეფექტი, ამასთან არ იქნება საჭირო არსებული ციცხვების რაიმე მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ცვლილება.

### 3. დასკვნა

1. მიუხედავად დიდი მიღწევებისა, სფერულგრაფიტიანი თუჯების სხმულების წარმოების საქმეში ფართომასშტაბური სამრეწველო წარმოება-გამოყენება გარკვეულად შეზღუდულია. აღნიშნულის მიზეზად შეიძლება დავასახელო: 1) კონსტრუქტორებისაგან საბაზო სხმულებისადმი წაყენებული ხისტი მოთხოვნები (მაგალითად, ქიმიურ შედგენილობაზე, სტრუქტურაზე, მექანიკური თვისებების მახასიათებლებზე და სხვა), 2) მალული დეფექტების სიმრავლე, 3) სფეროდიზაციის და ბეინიტური სტრუქტურის მიღების სირთულეები, აქედან გამომდინარე, შედეგების არასტაბილურობა. მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნეს ახალი და ეფექტური ტექნოლოგიური პროცესები, ლიგატურები, მოწყობილობები და სხვა, რომლებიც ხელს შეუწყობს სფერულგრაფიტიანი თუ-

ჯის სტაბილურად მიღებისა და მისგან ბენიტური თუჯის ფართომასშტაბიან წარმოებას;

2. სფერულგრაფიტის თუჯის სხმულის სტაბილურად მისაღებად მიზანშეწონილია ლიგატურის (მოდულიკატორის) მიწოდება განხორციელდეს ლითონის უშუალოდ ყალიბში ჩამოსხმისას, რომლის მოწყობილობისა და ტექნოლოგიის დახვეწას ეძღვნება ჩვენ მიერ შემუშავებული ციცხვის პირველი კონსტრუქცია. ციცხვის (ჩვენ მიერ შემუშავებული) მეორე კონსტრუქცია უნივერსალურია და მისი გამოყენების სფერო ფართოა, განსაკუთრებით ეფექტურია ლითონის მაგნიუმით მოდიფიცირებისას.

აღნიშნული ციცხვების პრაქტიკაში გამოყენება მნიშვნელოვნად გაადვილებს სფერულგრაფიტის თუჯის სტაბილურად მიღებას, ეს წინა პლანზე წამოწევს TRIP-ეფექტების გამოყენების პრობლემას ბენიტური თუჯის (ADI და ბენიტური კლასის თუჯი) წარმოებისას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ფულერენული მიდგომის ფოკუსირებულ გამოყენებას სფერულგრაფიტის თუჯის მისაღებად, განსაკუთრებით რეალური სხმულების წარმოებისას.

### ლიტერატურა

1. Лернер Ю.С., Сенкевич Ю.И., Маленберг А.Е. Новые методы сфероидизирующей обработки чугуна за рубежом. Л.П. 1984г., №7, ст. 7-9.
2. Захарченко Э. В., Левченко Ю. Н., Горенко В.Г., Вареник П.А. Отливки из чугуна с шаровидным и вермикулярным графитом. Киев: „Наукова Думка“, 1986 г. 247 ст.
3. Ключнев Н. Т, Технология производства отливок из высокопрочного чугуна с шаровидным графитом. МАШГИЗ, 1962г. -171 с.
4. Jungwirth K.H. Reifftrcheid K.T.J.P. Treating process a new of magnesium treatment for production of ductile iron ,Foundry ,1983 №7, p 93-100.
5. Хуснутдинов Г.И. и др. Устройство для обработки чугуна магнием. А.С. СССР, № 1379313 .Мки С21/10 1988 г .№ 9
6. Hieber A. Watmought T. An in-lidie treatment process for producing ductile iron with elemental magnesium. Trans, Amer, Foundrymens Soc, Proc, 84-th Annu. Meet, St louis , Miss 1980, vol 88 Plaines. 3 .1980, p. 289-300.
7. ო. ბარბაქაძე, ვ. კოპალეიშვილი და სხვა. თუჯის ნადნობის ჩამოსასხმელი ციცხვი “(განაცხადი გამოგონებაზე პატენტის მისაღებად).
8. ო. ბარბაქაძე, ვ. კოპალეიშვილი და სხვა. უნივერსალური ციცხვი ნადნობის ღუმელგარე დამუშავებისა და ჩამოსხმისათვის (განაცხადი გამოგონებაზე პატენტის მისაღებად).



## ღვაწლმოსილი იუბილარი



1959 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ნავთობისა და გაზის ძიებისა და ბურღვის კათედრა, რომელსაც სატავეში ჩაუდგა გამოჩენილი მეცნიერი და პრაქტიკოსი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ლალიევი. იმ დროს კათედრაზე მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ცოტნე მირცხულავა, ევგრაფი ვახანია, დავით ბულეიშვილი, ნიკოლოზ აბესაძე, მიხეილ აბაკელია და სხვები. აუცილებელი შეიქნა ახალი ახალი თაობის აღზრდა და კათედრის უზრუნველყოფა ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებით. იმავე წლებს გამოცხადდა ასპირანტურაში მიღება ნავთობის გეოლოგიისა და ჭაბურღილების ბურღვის სპეციალობებზე. რეზო თევზაძე ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ასპირანტად ნავთობის ჭაბურღილების ბურღვის“ განხრით. იგი უკვე ცნობილი ახალგაზრდა სპეციალისტი იყო, რომელიც შათრის გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობდა და როგორც მაღალპერსპექტიული ახალგაზრდა ინჟინერი, გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა გეოლოგიურ საზოგადოებაში. სწორედ მისი ხანგრძლივი სამსახური სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიებითი სამუშაოების წარმოებაში არის მაგალითი იმ შესანიშნავი მოღვაწეობისა, რითაც მან კვალი დატოვა საქართველოში ნავთობის ძიების მოპოვების და დამუშავების 50 წლიანი შრომის და ხელმძღვანელობის პერიოდში. მისი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია, იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი თავისი ქვეყნის კეთილდღეობას და ეკონომიკურ სიძლიერეს.

1973 წლიდან რეზო თევზაძე ინიშნება ტრესტ საქნავთობის“ მმართველად, რომელსაც მან 30 წელი უხელმძღვანელა. დანიშვნის პირველივე დრიდან მისი უშუალო ხელმძღვანელობით საფუძვლიანად იქნა შესწავლილი საქართველოს რეგიონებში ნავთობზე და გაზზე გაწეული სამუშაოების შედეგები და თამამად გატარებული რეფორმების შედეგად საქნავთობმა“ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია.

ახალი საბადოების აღმოჩენამ და ნავთობის მოპოვების გაზრდამ წარმოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხი დააყენა. საჭირო საქართვე-

**გიორგაძე**

ლოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და დამუშავების“ კათედრაზე განხილეთ კიდევ ერთი ახალი სპეციალობა ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, ნავთობგაზსადენებისა და ნავთობგაზსაცავების ექსპლუატაცია“, რომლის სწავლებისათვის აუცილებელი გახდა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღჭურვილი სასწავლო კაბინეტების და ლაბორატორიების არსებობა. რეზო თევზაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან გულთან ახლოს მიიტანა კათედრის თანამშრომლების თხოვნა და დააყენა საკითხი საკავშირო სამინისტროში ახალი კორპუსის მშენებლობის შესახებ თანხის გამოყოფის თაობაზე. მისმა ავტორიტეტმა გაჭრა და მაშინდელმა ნავთობმრეწველობის საკავშირო მინისტრმა ნიკოლოზ ბაიბაკოვმა ამ მშენებლობისათვის 6 მლნ მანეთი გამოყო. ნავთობის სპეციალისტების მაღალხარისხოვანი სწავლებისათვის საქნავთობის“ მიერ გამოყოფილი იყო ავტობუსი, რომელიც დახმარებას უწევდა კათედრას, რათა სტუდენტები თეორიულ სწავლებასთან ერთად უშუალოდ გაცნობოდნენ ყველა იმ სამუშაოებს, რომლებიც ტადრებოდა სარეწაოებზე.

პროფესორი რეზო თევზაძე უდიდესი თავდადებით, ენერგიით, ცოდნითა და კეთილსინდისიერებით ემსახურა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. საქნავთობში“ მისი მოღვაწეობის 30 წლის მანძილზე, იგი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გარდა თავისი კათედრისა, სხვა ფაკულტეტებსაც ეხმარებოდა ფინანსებით მატერიალური ბაზისა და სამეცნიერო სამუშაოების თანამედროვე დონეზე წარმოებისათვის. აღსანიშნავია ბატონი რეზოს წვლილი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის უბინაო თანამშრომლების ბინით უზრუნველყოფაში.

ბატონი რეზო აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტების აღზრდა-განვითარებაში. იგი ლექციების გარდა ხელმძღვანელობდა საკურსო და სადიპლომო გეგმარებს. მის მიერ აღზრდილია მენავთობე სპეციალისტთა დიდი კოჰორტა, რომლებიც არამართო საქართველოში, არამედ უცხო ქვეყნებშიც წარმატებით მუშაობენ ნავთობის საბადოების ძიების პროფილით.

მაღე ბატონი რეზო 81 წლის ხდება. მისი კოლეგები და აღზრდილები გულთბილად ულოცავენ იუბილეს და უსურვებენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერებას.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი ნავთობისა და გაზის  
ტექნოლოგიების დეპარტამენტი**

**სსონა**

**გახსენება**



სევდით, სინანულით და გულისტკივილით ვიხსენებთ ბატონ მერაბ თევზაძეს.

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან დიდად ერუდირებული და მაღალი ზნეობის პიროვნება, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო საქართველოში უმაღლესი ტექნიკური სკოლის, გეოდეზიისა და მარკშიდერიის განვითარების საქმეს. პიროვნება, რომელმაც სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით საყოველთაო აღიარება ჰპოვა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. ბატონი მერაბი იყო საქართველოს გეოდეზიური საზოგადოების პირველი პრეზიდენტი, გეოდეზისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, მინერალური რესურსების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და ამავე აკადემიის საქართველოს ნაციონალური განყოფილების პრეზიდენტი, საქართველოს საინ-

ჟინრო აკადემიის და ეკოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, ქართული ენციკლოპედიის გეოდეზიის სექციის თავმჯდომარე, საქართველოსა და შვედეთის სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კადასტრის სპეციალობით მაგისტრთა მომზადების ერთობლივი პროგრამის კოორდინატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოების წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არა ერთი სახელმძღვანელოს ავტორი და რედაქტორი. იგი ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ, აგრეთვე ორიგინალური სახელმძღვანელოებისა ქართულ ენაზე. მის მიერ პირველად იქნა შექმნილი სამარკშიდერო მონიტორინგის სისტემა, აგრეთვე ”გეოდეზიური და მარკშიდერული ტერმინოლოგია” ასევე ქართულ ენაზე.

ბატონი მერაბი მიეკუთვნება იმ გამორჩეულ პიროვნებათა რიცხვს, ვინც თავისი ცხოვრება და საქმიანობა მთლიანად მიუძღვნა საქართველოს ტენიკურ უნივერსიტეტში ახალგაზრდობის სწავლების სრულყოფას და სამეცნიერო დონის ამაღლებას. სწორედ ამ საქმით იყო დაკავებული მაშინაც კი, როდესაც მისმა კაცთმოყვარე და პატრიოტული გრძნობებით დატვირთულმა გულმა ვეღარ გაუძლო მრავალი წლის განმავლობაში გადატანილ განცდებს და განილია სრულიად მოულოდნელად.

ბატონი მერაბ თევზაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა განვლოს ცხოვრება ჭეშმარიტმა ქართველმა მამულიშვილმა, საზოგადო მოღვაწემ, ღირსეულმა მეცნიერმა, აღმზრდელმა, პედაგოგმა და მოქალაქემ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, საინჟინრო  
გეოდეზიის და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი**

სსიპსა

ალექსანდრე გრიგოლის ძე ლალიევი



გამოჩენილ ქართველ მენავთობეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ალექსანდრე ლალიევს. მას თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსა და გაზზე ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარებისა და ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

ალექსანდრე ლალიევი დაიბადა 1912 წლის 15 ივნისს, ქ.თბილისში რკინიგზელის ოჯახში. 1929 წელს იგი სასწავლებლად შედის საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში (ახლანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). ერთი წლის შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვის ნავთობის ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1934 წელს ნავთობისა და გაზის გეოლოგიის სპეციალობით. სწავლის დროს ბატონი ალექსანდრე ჩაერთო სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ პროფესორ-მასწავლებლებს და 1933 წელს იღებენ ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციაში სამუშაოდ, რომელიც კვლევით სამუშაოებს ატარებდა აღმოსავლეთ ციმბირსა და ნახჭევანში.

1935 წელს ა.ლალიევი სამუშაოდ გადადის ტრესტ „საქნავთობში“ გეოლოგიურ-სამიეზო კანტორაში გეოლოგად და ტრესტის დავალებით იწყებს საველე გეოლოგიურ (აგეგმვით) სამუშაოებს ჯავისა და ონის რაიონებში, მათი გეოლოგიური აგებულების და ნავთობგაზიანობის შესწავლის მიზნით. ჯავის რაიონის კურორტ ლესეს მინერალური წყლების უბანში და სოფ. ვიტრაში უხსოვარი დროიდან ცნობილი იყო ნავთობისა და გაზის ეფექტური ბუნებრივი გამოსავლები. ა.ლალიევმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გეოლოგმა დეტალურად შეისწავლა ამ გამოსავლების და მრავალი სხვა ზედაპირული გამოვლინების გეოლოგიური პირობები, მათი შემცველი ქანების ასაკი, ლითოსტრატიგრაფია და ტექტონიკა. პირადი საველე გეოლოგიური დაკვირვებების მეშვეობით დაგროვილი მასალის ანალიზმა საშუალება მისცა მას უარეყო რუსი მეცნიერის ი.კუზნეცოვის თვალსაზრისი ამ რაიონებში ნავთობის და გაზის ზედაპირული გამოსავლების წყაროების შესახებ, გამოთქმული 1933 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, და წამოეყენებინა ახალი კონცეფცია ამ გამოვლინებების წყაროების შესახებ. ა.ლალიევი ლოგიკურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხსენებული რაიონების ნავთობის და გაზის

**სსონა**

ზედაპირული გამოსავლების უმრავლესობა დაკავშირებულია ქვედაიურულ-აალენურ ნალექებიდან მიგრაციის შედეგად. ამ კონცეფციამ, რომელიც გამოქვეყნდა 1936 წელს ჟურნალში «Нефтяное хозяйство» №12 М, სათაურით «Проблемы Юрской нефти на южном склоне Большого Кавказа», იმთავითვე დიდი აღიარება მოიპოვა ”საქნავთობსა” და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში. ამ ნაშრომის საფუძველზე ”საქნავთობმა”1950, 1954 და 1964 წლებში გაბურღა საძიებო ჭაბურღილები, იმერეთის ამოწვევის ზონის ფარგლებში ონჭეიშის, ქარზმანის და ბზიაურის ანტიკლინებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ვერ გასცდნენ ბაიოსური ასაკის პორფირიტულ სერიას.

ა.ლალიევის ზემოხსენებულ მოღვაწეობას დამსახურებულად მოყვა დაწინაურება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე: იგი ჯერ ინიშნება ”საქნავთობის” გეოლოგიურ-საძიებო კანტორის მთავარ გეოლოგად, შემდეგ- დირექტორად, ხოლო 1947 წელს- ტრესტის მთავარ გეოლოგად. ”საქნავთობში” ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ა.ლალიევმა თავის კოლეგებთან, გამოჩენილ მენავთობეებთან (ა.მგელაძე, ა.კამლაძე, ვ.აბესაძე, ე.ვახანია, მ.ძველაია, დ.ბულიეშვილი, ნ.ქებაძე, ვ.საყვარელიძე, ვ.ბარბაქაძე, ა.კომახიძე, ე.ვასაძე, გ.სილაგაძე, ა.ძიგრაშვილი, გ.ხატისკაცი, ვ.გვენეტაძე, გ.ნიკურაძე და სხვები) ერთად საქართველოში გახსნა ისეთი საბადოები, როგორებიცაა: სუფსა-ომფარეთი, ჭალადიდი, ნორიო-საცხენისი, მირზაანი, პატარა შირაქი, ტარიბანა, სამგორი- პატარძეული, ნინოწმინდა და სხვები.

1960 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა „ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და ბურღვის კათედრა“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფ. ა.ლალიევი. ამ პერიოდიდან იწყება მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა უმაღლეს სკოლაში. 1960 წელს ის აირჩიეს ჯერ უცხოელი სტუდენტების სწავლების ფაკულტეტის დეკანად, ხოლო შემდეგ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანად, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1965 წლამდე.

1965 წლიდან 1988 წლამდე ხელმძღვანელობდა „ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და ბურღვის“ კათედრას.

1964 წელს ალექსანდრე ლალიევი აქვეყნებს მონოგრაფიას „საქართველოს მაიკოპის სერია“, რომელშიც მოცემულია ავტორის მიერ მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგები, კერძოდ, ახლებურად არის ახსნილი მაიკოპური ნალექების წარმოშობა, მისი ლითო-სტრატოგრაფიული დახასიათება და, რაც მთავარია, ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობა. ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნია ნავთობის დარგში მომუშავე გეოლოგებისთვის.

ალექსანდრე ლალიევი 1973 წელს ინიშნება ს/გ „საქნავთობის“ მთავარ გეოლოგად (გენერალური დირექტორის მოადგილედ), სადაც მუშაობდა 1983 წლამდე. ეს

**სსოვნა**

პერიოდი, კერძოდ, 1974 წელი-სამგორი-პატარძელის საბადოს გახსნის თარიღი გარდამტეხია საქართველოს ნავთობის მრეწველობის განვითარების ისტორიაში.

1983 წლიდან იგი ისევ დაბრუნდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და თითქმის სიცოცხლის ბოლომდე (1988 წლამდე) აგრძელებდა მუშაობას „ნავთობის და გაზის საბადოების ძიებისა და ბურღვის“ კათედრის გამგის თანამდებობაზე.

კათედრის გამგეობის პერიოდში ბატონი ალექსანდრე ბევრს მუშაობდა სასწავლო პროცესის ყოველმხრივ სრულყოფაზე, რის გამოც კავშირი ჰქონდა ყოფილ სსრკ და საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტებთან. მისი მოღვაწეობის პერიოდში „ნავთობის და გაზის გეოლოგიის და ბურღვის“ სპეციალობას დაეუფლა 2000-ზე მეტი სტუდენტი, რომლებიც ახლა წარმატებით ხელმძღვანელობენ ნავთობის და გაზის მრეწველობის სხვადასხვა დარგს. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია ხუთი სადოქტორო და ათეული საკანდიდატო დისერტაცია. არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის სამი მონოგრაფიისა.

ბატონი ალექსანდრე ლალიევი იყო გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1950 წ), პროფესორი (1953 წ), საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1962 წ), სსრკ საპატიო მენავთობე (1982 წ), ჩორდის ბარიტის საბადოსა (1969 წ) და სამგორის საბადოს (1988 წ) პირველადმომჩენი; დაჯილდოებული იყო სსრკ ორდენებითა და მედლებით.

ალექსანდრე ლალიევი გარდაიცვალა 1990 წლის 7 ნოემბერს, დასაფლავებულია ქ.თბილისში, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ნავთობისა და გაზის  
ტექნოლოგიების დეპარტამენტი**

## ინფორმაცია

შაკ 620.9.622

### XXI საუკუნის ენერგეტიკა. გ. ვარშალომიძე.

არსებულმა უნიკალურმა ზღვამ პერსპექტივაში შეიძლება წარმოქმნას ენერგეტიკული ბაზის ძლიერი სისტემა. გოგირდწყალბადის კონცენტრაციის მუდმივი ზრდა იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც არაერთმნიშვნელოვნად მოქმედებს ფლორის და ფაუნის ეკოლოგიაზე, მაგრამ მუდმივად კლებულობს. მომავალში, ენერჯის ყველაზე ოპტიმალური მეთოდი შეიძლება გახდეს არატრადიციული სახის წყაროები, რადგან შავი ზღვის ათვისების რაციონალური რესურსი – გოგირდწყალბადია. გოგირდწყალბადის ენერგეტიკის განვითარება საქართველოში შეიძლება ჩაითვალოს XXI საუკუნის ენერგეტიკად.

**საკვანძო სიტყვები:** შავი ზღვა, გოგირდწყალბადი, ენერგეტიკა, ფლორისა და ფაუნის ეკოლოგია.

## გეოლოგიის სექცია

შაკ 625.731.85

### სამხრეთ კახეთის ბუნებრივი ბიტუმიზის გამომვლინებები. გ. გელეიშვილი, ნ. რჩეულიშვილი, ჰ. სალუქვაძე, გ. ალაბიშვილი, ლ. ზუბაშვილი.

ბუნებრივი ბიტუმი მრეწველობის მრავალ დარგში გამოიყენება. ბუნებაში წარმოდგენილი სამი მორფოტროპული სახით: მაგარი ბიტუმი (ასფალტიტი) ტემპერატურა  $90^{\circ}\text{C}$ ; ბლანტი ბიტუმი (ასფალტი) – დარბილების ტემპერატურა  $35 - 90^{\circ}\text{C}$ ; თხევადი ბიტუმი (მალტა) -  $35^{\circ}\text{C}$  - დარბილების ტემპერატურით.

სტატიაში განხილულია დემიფირებული კოსმო და აერომასალეები.

აღწერილია სამი სახის ბიტუმის გამოვლინება:

1. ბიტუმიზირებული ქვიშა (ბაიდა-ჩათმა);
2. ბიტუმისმატარებელი ქვიშა (ელდარი);
3. თხევადი ბიტუმის გამოვლინება (ტარიბანი).

გასმულია სახი ბიტუმის ტექტონიკური და ლიტოლოგიური წარმოშობის კომპლექსური გამოკვლევით გამოიყო პერსპექტიული მოვლენები. შედგენილია სქემა-პროგნოზი სამხრეთ კახეთის რეგიონში ბუნებრივი ბიტუმის გამოვლინებაზე დაღეკვის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ბიტუმი, ბიტუმიზირებული ქვიშა; კახეთის საბადო; მორფოტროპული.

შაკ 563.981/982

### ნავთობის წარმოქმნის კიდევ ერთი შესაძლო მოდელის შესახებ. მაღალაშვილი გ.

